852/2w 11906
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 14 ივნისი 1994 № 27 (102) ფასი 70 000 კუპონი

ვითარ ჩემამ ოვნისა

კალათბურთი დამთავრდა, გაუმარჯოს კალათბურთს!

უზარმაზარი ბოთლიდან შამპანურის შადრევანმა იფეთქა. „ვითა“ ჩემპიონია, მან ერთობ დაძაბული სუპერფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტ შეხვედრაში 78:74 სძლია მთავარ მეტოქეს, „თბილისს“ და ზედიზედ მეორედ ქართული კალათბურთის მწვერვალზე ავიდა. ერთი შეხედვით, ალეგიური არც რამე მომხდარა. განა მოულოდნელი იყო, რომ ამ გუნდების ჭიდილს მესამე მატჩი დასჭირდა? განა „ვითას“ საბოლოო გამარჯვებაც უფრო მოსალოდნელი არ იყო? ჩემპიონმა ხომ სეზონში მხოლოდ ორი თამაში წააგო, მისმა მეტოქემ კი ხუთ მატჩში იწვნია მარცხი. სუპერფინალამდე ამ გუნდების პირადი შეხვედრების ანგარიში 2:2 კი იყო, მაგრამ თბილისელები „ვითას“ წინაღმდეგ ერთ-ერთ მატჩში ისე გატყდნენ, რომ 23 ქულით წააგეს, პირიქით კი ასეთი რამ არ მომხდარა. ზოგადი შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, რომ „თბილისი“ კონკურენტის დასამარცხებლად გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავდა, „ვითა“ კი როცა იგებდა, უფრო თავდაჯერებული იყო. მაგრამ ლოგიკურად მსჯელობა სხვაა, თამაში კი სხვა. „თბილისს“ შეეძლო გაემარჯვა და ეს მსჯელობა არად ექცია. ლერიუგინის სტაბილურად ძლიერ თამაშს თანაგუნდელების მონდომებაც ერთვოდა. მესამე მატჩში საოცრად ითამაშა ხელაშვილმა, და მაინც „თბილისს“ წარმატებისთვის რაღაც არ ეყო. „ვითას“ კი სწორედ ამ რაღაცამ მოაგებინა. რა არის ეს რაღაც? იქნებ კობეშავიძისეული გამართული და სასარგებლო თამაში, ჩერქეზიშვილისა და ტურაშვილის მობილიზების უნარი, კორძაძის, ჩუბინიძის, ბეჟანიშვილის, ბერუაშვილის, ორმოცაძის სიმაღლე და დაახლოებით თანაბარი ძალის თამაში, რაც სრულყოფილი შეცვლების საშუალებას იძლევა, „დინოზავრი“ შენგელია, თავისი მონაცემებით და ჟინით, მწვრთნელებისა და მეპატრონეების მიერ გუნდში შექმნილი ატმოსფერო და თუნდაც ის აგრესიულობა, გუნდს თავისებურ იმიჯს რომ უქმნის.

„ვითამ“ ღირსეულად გაიმარჯა, „ვითა“ ქების ღირსია.

მესამე ადგილზე „კაქტუსი“ გავიდა, რომელსაც არ გასჭირვებია „თორსის“ დამარცხება. „თორსმა“ ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე, თბილისში მცირე ხნით ჩამოსული ლუბლიანის „ოლიმპიის“ ვლადიმერ სტეფანიას გამოყენა განიზრახა, მაგრამ ფედერაციამ ნება არ დართო და უარი ფიბ-ს კანონებით დასაბუთა: სტეფანიას „თორსში“ ან ლუბლიანის გარდა ნებისმიერ სხვა გუნდში რომ ეთამაშა, დიდი ჯარიმა და დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა. სიურპრიზების მოყვარულმა თორსმა კი არც აცია, არც აცხელა და თავის შემადგენლობაში... ამერიკელი, ვინმე მაიკლ კლეიტონი გამოიყენა. 24 წლის კლეიტონი თბილისში მწვანეთა მოძრაობის საქმეებზეა ჩამოსული, კალათბურთთანაც მწყრალად არ ყოფილა — თავისი კოლეჯის გუნდში შტატის პირველობაზე უთამაშია.

საბოლოოდ, დღევანდელი დღის კვალობაზე ყველაფერმა საუცხოოდ ჩაიარა. დამთავრდა დაძაბული, თვალსაჩინო ეროვნული ჩემპიონატი, რომლის დიდმა შოუმ — სუპერფინალმა სპორტის სასახლეში იმდენი მაყურებელი შეყარა, რომ კიბე-გასასვლელებზეც ტევა არ იყო. კალათბურთი დამთავრდა, გაუმარჯოს კალათბურთს!

ილია ბაბუნაშვილი
გია ახალაძის ფოტოები

შოთა არველაძე

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

16 ივნისს იხსნება გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი «მესეფი» სპორტის მოყვარულთათვის. სწორედ ამ კლუბის გახსნაზე, ხუთშაბათს, 16 საათზე შედგება გაზეთის ტრადიციული გამოკითხვის ლაურეატის, 1993-94 სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოება

ნიგერია — საქართველო 5:1

იხილეთ მესამე გვერდი

ერთი, კანდელაკი, ბრინჯაო

ესაა, წელი განახევრდა და ძლივს ქართველ მოკრივეებს მათთვის პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში გამოსვლა მოუხერხდათ. ბანგკოკში (ტაილანდი) დასრულებულ მსოფლიო თასზე სულ სამმა ჩვენიანმა იასპარეზა და ვორელმა გიორგი კანდელაკმა (91 კგ) ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ამგვარ დაჯილდოებას, იქნებ მეტ წარმატებასთანაც, ახლოს იყო ფოთელი ზურაბ სარსანია (91), მაგრამ მეოთხედფინალში მას მსაჯთა გადაწყვეტილებით მოუხდა მედლებისათვის ბრძოლაზე ხელის აღება. ჩვენი მესამე მოკრივე, თბილისელი მათე კოღუაშვილი 67 კგ წონაში გამოდიოდა.

WorldCup USA 94

პარასკევს ამერიკაში მსოფლიოს XV ჩემპიონატი იწყება! დღეს, მეოთხე გვერდზე ფინალისტების შემადგენლობებს გაგაცნობთ, პარასკევისთვის კი ამ მოვლენისადმი შეძღვნილი საგანგებო „სარბიელის“ გამოცემას ვაპირებთ.

შოთა არველაძე — ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი

ზუსტად ათი წლის წინათ ჯარში სამსახურისას „მარადონისტი“ მეგობრის წერილი მივიღე. წერილის ბოლოს 1984 წლის მსოფლიო ნაკრების თავისი ვარიანტის ჩამოსახელების შემდეგ ანდრო მწერდა: მცხეთაში არდადეგებზე თანამოაზრეები გავიცანი, ეს თერთმეტი წლის ტყუპები ჩემსავით მარადონაზე გიჟდებიან და, რაც მთავარია, მოედანზე ისეთ სასწაულებს სწადიან უეჭველად „დინამოში“ მოხვდებიანო. მაშინ მთელი თბილისის ბიჭები უბნის ფეხბურთით იზრდებოდნენ და ნიჭიერ ბავშვებს რა დალევდა. მე ყოველი შემთხვევისთვის ჩავინიშნე იმ ტყუპების გვარი — არველაძეები.

1990 წელს საქართველოს ჭაბუკთა ეროვნულ ჩემპიონატზე ერთ-ერთ გუნდში მოთამაშე ტყუპები რომ ვიხილე, გვარი აღარ მიკითხავს, იმ წამსვე მეგობრის წერილი გამახსენდა. ამ ცოტა სენტიმენტალურ შესავალს იმით დავასრულებ, რომ 1991 წლის 1 აპრილს ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთხელ გამახსენდა ეს წერილი — „დინამოში“ ლებიუჩი შოთა არველაძემ ქუთაისელთა კარში გატანილი გოლით რომ აღნიშნა.

მერე კი აგორდა ტალღა „არველაძეები“ და „დინამოში“ ყოფნის ორწლიანი ვადის მანძილზე ძმებმა 150-მდე გოლი გაიტანეს ჩემპიონატში, თასზე, ნაკრებში თუ ევროტურნირებზე.

ახლა უშუალოდ წლევანდელ რეფერენდუმსა და მის ლაურეატზე. შეგახსენებთ, რომ 1990 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ფედერაციამ დასახელა (თემურ ქეცბაია), 91-92-ის სეზონისა გაზეთმა „ქართულმა ფეხბურთმა“ გამოავლინა (მიხეილ ჯიმშერანი), 92-93 წლების სეზონისა კი განსხვავებულმა „სარბიელმა“ (გიორგი ქინქლაძე). ჩვენს შარშანდელ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები და მწვრთნელები, წელს კი მხოლოდ კოლეგებს დავკითხეთ.

შარშანდელისგან განსხვავებით, გადაწყვიტეთ წელს რეფერენდუმში ის ფეხბურთელებიც ჩაგვერთო, საზღვარგარეთ რომ გაგრძელეს კარიერა. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებდით იმასაც, რომ რამდენიმე გაზეთი ჩვენის ჩათვლით, „იბერვიზია“ და საბერთალოს საკბელო ტელევიზია შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, მაქსიმალური საგაზეთო და ვიდეო ინფორმაცია მიეწოდებინათ მკითხველ-მაყურებლისთვის ჩვენს ლეგიონერებზე.

16 ჟურნალისტის 16 რჩეული ფეხბურთელიდან ყველას შოთა არველაძემ აჯობა. იგი ზედიზედ მესამედ შედის საუკეთესო სამეულში. ზოგიერთმა ჟურნალისტმა, იმ სამბით, ლეგიონერთა თამაში არ მინახავსო (თუმცა აგვისტო-ოქტომბერში თბილისში და შემდეგ ტელევიზიით, მათ ჰქონდათ ამის საშუალება), საერთოდ არ შეიყვანა იხინი სამეულში. მიუხედავად ამისა, შოთამ მაინც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა გამოკითხვაში, თანაც ყველაზე მეტჯერ, შვიდჯერ დასახელდა პირველ ნომრად. ტყუპ არველაძეებზე საერთოდ და შოთაზე კერძოდ იმდენი დაწერილა, თავს აღარ შეგაწყენთ, წლევანდელი ლაურეატის წარმოსაწ�კი თუნდაც ეს სამი ბრწყინვალე გოლი კმარა — ორი „ლინფილდთან“ და ერთიც სტამბოლში „ლომთალომ“ „გალათასარაისთან“.

შეორე ადგილზე დინამოელი გელა ინალიშვილი გავიდა — იგი ოთხმა ჟურნალისტმა დასახელა პირველ ნომრად. ფუტკარივით მშრომელი დინამოელთა ნახევარმცველი ყველაშვილთან ერთად (რომელსაც მესამე ადგილი ერგო) მართლაც საუკეთესო იყო ეროვნულ ჩემპიონატში. სხვათა შორის, წელსაც, მარშანდელივით, კვლავ თერთმეტი დინამოელი მოხვდა საბოლოო სიაში (მარშანდელივით — კვლავ ხუთი პირველი). მარშან არველაძეთა ოჯახმა ქულათა 45 პროცენტი დაიმსახურა (203 — 450-დან), წელს კი მხოლოდ 36 პროცენტი (53 — 144). საუკეთესო სამეული ვერავინ გამოიცნო, მხოლოდ სოლომონ გულისაშვილმა („რეზონანსი“) და მიხეილ აბაშვილმა („დრონი“) დასახელა სამივე, ოღონდ სხვა თანმიმდევრობით.

ისევე, როგორც მარშან გიორგი ქინქლაძე, როდესაც ლაურეატობა ვამცნე, გაბარებული შოთაც პირველად იმით დაინტერესდა, თუ რამდენად ობიექტურ პაექრობაში მოიპოვა იგი. ჩემს მიერ ჩამოთვლილი მრავალი არგუმენტის შემდეგ ამაყად მიმოიხედა და მითხრა:

— აღარ არის დრო, ორი წელია ზედიზედ მესამე ვარ!

— ახლა რა გრძნობა დაგეუფლა?

— ძალიან გაბარებული ვარ. გახდე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი იმ დროს, როდესაც თამაშობენ ცხადაძე, ქეცბაია, არჩილი, რეზო, ყველაშვილი, ინალიშვილი, გოგიჭიანი, ყიზილაშვილი და სხვა ძლიერი ფეხბურთელები, მართლაც ძალიან საამაყოა.

— გამოდის, რომ არ ელოდი პირველობას?

— არც კი მიფიქრია.

— შენ რომ ჩემი კოლეგა იყო, ვისდასახელებდი სამეულში?

— პირველ ადგილზე უეჭველად ცხადაძეს დავასახელებდი. სად გერმანია და სად თურქეთი. კახი მთელი სეზონი ბუნდესლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში სტაბილურად ჩაატარა. მეორე ადგილზე არჩილს დავყენებდი, მესამეზე რეზოს.

— არჩილის თამაშის შეფასება ყველაზე უკეთ შენ შეგიძლია, არჩილი ახლა ნიგერიაშია, შეგიძლია „ზურგსუკან“ ტყუპისცალზე ლაპარაკი?

— სხვათა შორის, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიძლევი ინტერვიუს არჩილის გარეშე, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ გაძლება არ შეგვიძლია. რაც შეეხება ფეხბურთელ არჩილს, წელს ძალიან მოუმატა, რომ არა ტრავმა თურქეთში ჩასვლისთანავე, ჩემზე მეტ გოლს შეაგდებდა.

ისე, არჩილის ყველაზე კარგ შეფასებას ახლა გეტყვი: ჩემი ძმაა!

— საკუთარ თავზე, ამ სეზონის გათვალისწინებით, რას იტყვი?

— ეს სეზონი ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო, უცხოელ ფეხბურთელებთან თამაშმა ისეთი გამოცდილება შემძინა, შინ ნამდვილად ვერ მივიღებდი. გარდა ამისა, დიდი რეკლამაც შეგვექმნა ევროპაში.

— რომელი კლუბებიდან მიიღე წინადადებები?

— ვინც თურქეთში „ტრაბზონის“ შეიმენ ეს მაინც გაბედა, „გალათასარაი“ და „ფენერბახჩე“ იყვნენ, რას აღარ გვთავაზობდნენ... რამდენიმე ევროპული კლუბიდანაც მოგვივიდა მიწვევა. გავიგე, „გალათასარაისთან“ თამაშის შემდეგ კრეფის თანაშემწეს მაგრად შეეექიკარ პრესაში.

— ამას წინათ ტრაბზონში ყოფნისას შევიტყვე, რომ შესაძლოა მალე „ტრაბზონსფორში“ სამივე არველაძე ვიხილოთ.

— ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

— ისიც შევიტყვე, „კაცის ცოდვა“ რომ გადევს.

— ჰოო, ცოდვილი ვარ, მაგრამ რა ჩემი ბრალია: „ფენერბახჩესთან“ 0:0-ზე თავით ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე და ტრიბუნაზე ერთ გულშემატკივარს გული გაუსკდა და იქვე გათავდა. საწყალი, ნაინფარქტალი ყოფილა...

— პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის თასზე „ფენერბახჩესთან“ 4:3 ანგარიშზე ფეხი იტკინე. რამდენად სერიოზულია ტრავმა?

— სამწუხაროდ, ტრავმის გამო ნიგერიას ვერ გავემგზავრე. ახლა უკვე ვვარჯიშობ და 15 ივნისს ვითამაშებ „მარგვეთის“ წინააღმდეგ.

— თურქებს, ზოგიერთ ქართველსაც ვერაფრით ავუხსენი, რატომ დაბრუნდით საქართველოში. იქნებ შენ სცადო?

— ამაზე ყველაზე კარგი პასუხი მერაბ ჟორდანიამ გასცა: „ეს რომ გაიგო, ნაღდი ობილისელი უნდა იყო და „დინამოში“ არსებული სიტუაცია იცოდეო.“ სულ რომ არაფერი, მე და არჩილი გია სვანაძისა და ზაზა ვეფხვაძის ხათრით მაინც დავბრუნდებოდით „დინამოში“. ბაზაზე რომ შევდივარ, ინსტინქტურად ვეძებ ორივეს...

— „ტრაბზონსფორის“ პრეზიდენტს სადრი შენერს უთქვამს, ჩემპიონატის შემდეგ ტყუპებთან ათი წუთით განვმარტოვდები, ჩემს სათქმელს იქ ვეტყვი და მერე ვნახოთ, როგორ წავლენ თბილისშიო...

— შედგა ეგ საუბარი ჩვენსა და შენერს შორის, ოღონდ ათი წუთის ნაცვლად ერთი საათი გველაპარაკა, ცოტაც და დავიყაბულებდა კიდეც, მაგრამ დროზე მოვეგეთ გონს და შევწყვიტეთ საუბარი.

— შენერი მართლა დიდი სიმდიდრის პატრონია?

— შენერი ის კაცია, რომელიც არსად ჩანს, მაგრამ მუდამ გრძნობ მის არსებობას და გავლენას. დიდი სიმდიდრის გარდა მას კაცური კაცისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს. ერთხელ არ უთქვამს, დარჩითო, სულ მამაშვილურად გვარიგებდა და ამით დაიმსახურა ჩვენი დიდი სიმპათიები.

— თურქულს კარგად დაეუფლეთ?

— ყოველ შემთხვევაში, ინტერვიუს თურქულად ვიძლეოდით.

— ჟურნალისტებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— თურქეთში ჩვენზე ბევრ ტყეილებს წერენ და ვცდილობდი მათთან საუბრისას ენაზე კბილი დამეჭირა. ქართველ ჟურნალისტებთან კი ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— იქ გატანილი გოლებიდან რომელს მიიჩნევ ულამაზესად?

— ლამაზი გოლი ისაა, პრინციპულ, დაძაბულ მატჩში რომ გაიტან, თორემ 6:0-ზე რა სილამაზე უნდა ჰქონდეს გოლს?

— მაშ, „გალათასარაისთან“ გაგიტანია ყველაზე ლამაზი.

— „გალათასარაის“ რომ ვუყურე ჩემპიონთა ლიგაში, ძალიან ჯანსაღარნი მეჩვენნენ, სტამბოლში რომ მოვეგეთ, გამიკვირდა, ჩვეულებრივი ფეხბურთელები იყვნენ და სულ ვნატრობდი, ნეტა ჩვენს „დინამოს“ შეახვედრა-მეთქი.

— მსოფლიო ჩემპიონატზე ვის უქომაგებ?

— რა თქმა უნდა, არგენტინას, მარადონას ხათრით. წელს მისი ბოლო წელია ფეხბურთში და მგონი ვიღუპებით მე და ჩემი ძმები, ჩვენთვის ხომ მარადონა ყველაფერია.

— დიეგო 10 ნომერია, შენ „დინამოში“ 11 გეცვა, „ტრაბზონში“ — 7.

— ჩემი ბრალი არ არის. აბა, სცადე და გიორგი ქინქლაძესთან ხმა ამოიღე მეათე ნომერ მაისურზე! არაფერი გამოვიკვლევ, წყლის ნაკვა. ამიტომ მეფერთმეტე ავირჩიე. „ტრაბზონში“ კი ამ ნომრით დიდი ორპანი თამაშობდა, უსაყვარლესი ბიჭია და ველარ შევკადრე მაისური მეთხოვა თორემ უეჭველად მოცემდა. ისე, როგორც ხედავ, შვიდიანმა ბედნიერებაც მომიტანა.

— შენი ოცნების კლუბი საქართველოში „დინამოა“, მსოფლიოში?

— „პარსელონაზე“ ოცნებობდი, მაგრამ 0:4 მერე ჩემი ოცნების კლუბი „მილანი“ გახდა.

— „ჭორ-ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადე, რომ თურმე ტრაბზონში ხმა დაირხა, ტყუპები ბურის ჭარხანას აშენებენო...

— არ ვიცი, ვინ გაავრცელა ეს ჭორი ტრაპიზონში, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ მეორე ღღეხვე ნახევარი ქალაქი თეთრი ხალათებით და ფქვილიანი ხელებით მოგვადგა და თავის სამსახურს გვთავაზობდა.

— შენი აზრით, რა შანსი აქვს „დინამოს“ წლევანდელ ევროტურნირებზე?

— მთავარია, კარგად მოვემზადოთ. ისე, მაგ კითხვაზე პასუხს, თუ არ გეწყინება, მოგვიანებით გაგცემ.

— ნაკრების შანსებზე რას იტყვი?

— იგივეს. სუსტი გუნდი ევროპაში არ არსებობს, ყველამ ისწავლა თამაში, ყველა ჭიდაობს, ღღეს ველარ გაიგებ, ვინ სუსტია და ვინ ძლიერი.

— თურქეთში ჭვენი ბავშვობის მწვრთნელი ჩემალ ჩიმაკაძეც გახლდათ. ჭერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მეუბნებოდა, დრო მოვა, შოთასნაირი ფეხბურთელი საქართველოში არ იქნებაო, წლევანდელმა რეფერენდუმმა დადასტურა ბატონი ჩემალის სიტყვები. ორიოდე სიტყვა მასზე...

— ბატონმა ჯემალმა ყველაფერი შესწირა ფეხბურთს. სხვა მისნაირ ფანატიკოსს მე არ ვიცნობ. ბავშობაში მუდამ თან დავყვებოდი, ხან სად გვასვენებდა, ხან სად. მას თავისებურად ესმის ფეხბურთი და თურქეთში ყოფილა შემთხვევა, 0:0-ზე ნათამაშევი პირველი ტაიმის შემდეგ შესვენებაზე სწორედ ჯემალ ჩიმაკაძეს დარიგების შემდეგ მოგვიგია თამაშები.

— შენი მეუღლე თამუნა მელაძე მუდამ ტრიბუნიდან გადევნებს თვალს. ეს ალბათ დამატებითი სტიმულია შენთვის.

— რა თქმა უნდა, ჩემი ყველა გატანილი გოლის შემდეგ თვალი მუდამ თამუნასაკენ გამირბის და უზომოდ მიხარია, როცა აღტაცებულს ვხედავ.

— გახსოვს, შარშან „დინამოს“ დისკვალიფიკაციის ამბავი რომ გაიგე და აცრემლებულმა თქვი, ისე არ წავალ თბილისიდან, კიდევ ერთხელ არ ვითამაშო ხალხით გადაჭედილ „დინამოს“ სტადიონზეო...

— მე სიტყვა ავასრულე, ახლა ჯერი გულშემატკივრებია...

...საქართველოს წინა სამ საუკეთესო ფეხბურთელს მომდევნო სეზონში ბედი არ სწყალობდა, რეფერენდუმში ორიოდ ქულას აგროვებდნენ. იმედია, შოთა დაარღვევს ამ უსიამოვნო ტრადიციას — იგი დიდ ფეხბურთში მოხვლის დღიდან ხომ მუდამ საუკეთესოთა შორის არის!

ბამუკა კვარაცხელია

გია ახალაძის ფოტო

შოთა არველაძე

დაიბადა 1973 წლის 22 თებერვალს

სიმაღლე — 181, წონა — 71

პირველი მწვრთნელი — ოთარ გიგოლაშვილი

სპორტული გზა — 1990 მართვე (II ჯგუფი, 29 მატჩი, 33 გოლი)

1991 დინამო (3 მატჩი, 3 გოლი)

1991-92 დინამო (30 მატჩი, 22 გოლი)

1992-93 დინამო (23 მატჩი, 18 გოლი)

1993-94 დინამო (7 მატჩი, 8 გოლი), ტრაბზონსფორი (18 მატჩი, 15 გოლი)

საქართველოს თასზე (24 მატჩი, 18 გოლი)

თურქეთის თასზე (5 მატჩი, 3 გოლი)

საქართველოს 1992 და 1993 წლების ჩემპიონი და თასის მფლობელი, თურქეთის 1994 წლის ბრინჯაოს პრიზიორი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 3 მატჩი (ლიტვა 0:1, აზერბაიჯანი 6:3, ისრაელი 0:2) 1 გოლი (აზერბაიჯანი)

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

მიხეილ აბაიშვილი (დრონი) — ინალიშვილი, ყველაშვილი, შ. არველაძე
დათო ბერიაშვილი (ქართული ფეხბურთი)—ა. არველაძე, ქინქლაძე, ინალიშვილი
ვახტანგ ბზიკაძე (ბურთი და მოედანი) — ზოიძე, ინალიშვილი, ყველაშვილი
სოლომონ გულისაშვილი (რეზონანსი) — შ. არველაძე, ყველაშვილი, ინალიშვილი
ზვიად თედორაშვილი (ჯორჯიან თაიმსი) — ყველაშვილი, შ. არველაძე, ჯამარაული
მამუკა ყვარაცხელია (სარბიელი) — შ. არველაძე, ა. არველაძე, რ. არველაძე
ბადრი კეთილაძე (ბურთი და მოედანი) — შ. არველაძე, დევაძე, ინალიშვილი
არმაზ მეტრეველი (ტელევიზია, I არხი) — შ. არველაძე, ცხადაძე, ა. არველაძე
ზურაბ მეძველია (სარბიელი) — შ. არველაძე, ინალიშვილი, რევიშვილი
გია პლატონიშვილი (საქართველოს რესპუბლიკა) — ინალიშვილი, დარასელია, იაშვილი.
გია ტუხაშვილი (ქართული ფეხბურთი) — ჯამარაული, ყველაშვილი, დევაძე
რევაზ შენგელია (სარბიელი) — ინალიშვილი, ყველაშვილი, დ. მახარაძე
მამუკა ჩიხლაძე (სარბიელი) — ინალიშვილი, შელია, რევიშვილი
ბაქარ ჭეიშვილი (ბურთი და მოედანი) — შ. არველაძე, ინალიშვილი, დევაძე
ჯემალ ჭიპაშვილი (სფუ პრეს-ცენტრი) — შ. არველაძე, ყველაშვილი, ა. არველაძე
თამუნა ჯიშკარიანი (ტელევიზია, II არხი) — ქეცბაია, შ. არველაძე, ჯამარაული

1. შოთა არველაძე — დინამო, ტრაბზონსფორი	— 42 (7, 2, 1)
2. გელა ინალიშვილი — დინამო	— 32 (4, 3, 3)
3. მიხეილ ყველაშვილი — დინამო	— 21 (1, 5, 1)
4. არჩილ არველაძე — დინამო, ტრაბზონსფორი	— 10 (1, 1, 2)
5. გოჩა ჯამარაული — დინამო	— 7 (1, 0, 2)
6. აკაკი დევაძე — კოლხეთი 1913	— 5 (0, 1, 2)
6. ირაკლი ზოიძე — დინამო	— 5 (1, 0, 0)
6. თემურ ქეცბაია — ანორთოსისი	— 5 (1, 0, 0)
9. გიორგი დარასელია — კოლხეთი 1913	— 3 (0, 1, 0)
9. გიორგი ქინქლაძე — დინამო, ზაარბრიუკენი	— 3 (0, 1, 0)
9. მურთაზ შელია — დინამო, ზაარბრიუკენი	— 3 (0, 1, 0)
9. კახი ცხადაძე — პინტრარტი	— 3 (0, 1, 0)
13. ზაზა რევიშვილი — დინამო	— 2 (0, 0, 2)
14. რევაზ არველაძე — დინამო, კიოლნი	— 1 (0, 0, 1)
14. ალექსანდრე იაშვილი — დინამო	— 1 (0, 0, 1)
14. დავით მახარაძე — კოლხეთი 1913	— 1 (0, 0, 1)

I ადგილი—5 ქულა, II—3, III—1

ნიგერია – საქართველო 5:1

ამხანაგური მატჩი

ნიგერია 5:1 საქართველო

იბადანი, 50 000 მაყურებელი,

ნიგერია: (სასტარტო შემადგენლობა) რუფაი, ეგუაკონი, ნვანუ, კეში, ოლისე, ოკეზუკეუ, ფინიდი, ოკოჩა, იეკინი, ამოკაში, ამუნიკე.
საქართველო: ზოიძე (გრიშიკაშვილი 75), ბერაძე, ცხადაძე, შელია (ლობჟანიძე 46), ჯიშკარიანი, კუდინოვი (ჯანაშია 65), ნემსაძე, ჯამარაული, რ. არველაძე ქინქლაძე, ა. არველაძე (ინალიშვილი 78)

0:1 რ. არველაძე (2)
1:1 იეკინი (11)
2:1 იეკინი (45)
3:1, 4:1, 5:1 ? (49, 57, 76)

83-ე წუთზე გრიშიკაშვილმა მოიგერია პენალტი

თუ საქართველოს ნაკრების მიერ ნათამაშევ მატჩებს გადავხედავთ, მეტოქეთა სიაში ვერ აღმოვაჩენთ გრანდს, რიგით მეთერთმეტე ამხანაგური მატჩი კი საქართველოს ნაკრებს აფრიკის ჩემპიონთან და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნიგერიასთან მოუწია ორმოცგრადუსიან აფრიკულ ხვატში. არადა, ნიგერიაში ახლა ზამთარია. ჩვენები რვა ივნისს გაფრინდნენ ფრანკფურტში, იქიდან იმ დღესვე — ლაგოსში. შემდგომი ინფორმაცია უკვე ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან, ალექსანდრე ჩივაძისგან მივიღეთ:

— თავდანვე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ნაკრებმა პირწმინდად წაგო ეს მატჩი და რომ არა მეკარეთა კარგი თამაში, ანგარიში უფრო მეტი იქნებოდა. მეორე წუთზე არჩილ არველაძემ აართვა ნიგერიელ მცველებს ბურთი და მისი პასით რეზომ გოლი გაიტანა 44-ე წუთზე ისევ არჩილ არველაძეს ჰქონდა საგოლე მომენტი, რომელიც სამწუხაროდ ვერ გამოიყენა და სადღაც სამოცდამეათე წუთზე ჯანაშია პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ვერ გამოიყენა ეს მომენტი. ეს იყო და ეს. დანარჩენ მომენტებში თამაშობდა მხოლოდ ნიგერიის ნაკრები, ჩვენები კი ხელს უშლიდნენ. მეორე ტაიმში კი ხელის შეშლაც შეწყვიტეს.

მეტოქეთა გოლები ასე გავიდა: მეთერთმეტე წუთზე მარჯვნიდან ჩამოწოდებულ ბურთზე იეკინმ ყველას დასწრო, მკერდით ჩამოიღო და ოთხიოდე მეტრიდან ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის მიწურულს ნიგერიელთა ნახევარმცველის პასით ამოკაშმ ძელს მოახვედრა ბურთი და ისევ იეკინმ დასწრო ყველას 2:1. მესამე გოლი მეორე ტაიმის დასწყისშივე გავიდა, როცა ნიგერიელთა ერთ-ერთმა ნახევარმცველმა დრიბლინგით გაიარა მარცხენა ფლანგი, გვერდი აუარა ჩვენს მცველებს, გაითამაშა კედელი და მარცხენა კუთხეში მესამე გოლი გაიტანა. მეოთხე და მეხუთე გოლები კუთხურიდან გაგვიტანეს თავით, სამწუხაროდ გოლების ავტორთა ვინაობა ვერ გავარკვიეთ, რადგან მეტოქემ შესვენებაზე ექვსი კაცი შეიცვალა, მაიურებიც აურიეს და მატჩის შემდეგ არც შეპირებული ოქმები მოუტანიათ. გარდა ამისა, მატჩის ოთხმოცდამესამე წუთზე ლობჟანიძის მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნა პენალტი, ნიგერიელმა ძლიერად დაურტყა მარცხენა კუთხეში გრიშიკაშვილს, მაგრამ დებუტანტმა მოიგერია ეი და შემდეგ მეტოქეს განმეორებითი დარტყმაც გაუცდებინა.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენი წაგება ორმოცგრადუსიან სიცხეზე და თამაშის წინ წარმოქმნილი პატარ-პატარა პრობლემებს დავბრალო (თავდახსმაში მხოლოდ არჩილ არველაძე გვყავდა, რადგან შოთამ ტრავმა მიიღო „ფენერბახჩესთან“, შევიკრიბეთ უშუალოდ წასვლის წინ, ქინქლაძე და შელია ფრანკფურტში შეგვიერთდნენ, ჯიშკარიანი და ჯანაშია — თბილისის აეროპორტში, მასპინძლებმა პირი. გვიტხეს და ავტობუსი არ გამოგვგზავნეს და ა.შ.). წაგება, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალია. ნიგერიელები ყველა კომპონენტით გვჯობდნენ, ისინი ნამდვილი ათლეტები არიან, კარგად აზროვნებდნენ ტაქტიკურადაც, ჩინებულად იყენებენ სტანდარტულ სიტუაციებს, თანაც უკასკნელი ოთხი წელია ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშობენ ჰოლანდიელი მწვრთნელის ვესტერპოფის ხელმძღვანელობით. ეს დამარცხება ფრიად სასარგებლია ჩვენთვის და მომავალში გაკვეთილად უნდა იქცეს. ფაქტი ერთია, თუ ფეხბურთელები კლუბებში არ მოემზადნენ, ძნელია რამდენიმე დღეში რაიმეს გაკეთება. ჩვენმა ფეხბურთელებმა მეტი უნდა იმუშაონ ინდივიდუალურად, რადგან საქართველოს ჩემპიონატში არც იმ სიძლიერის დატვირთვებია და არც ისეთი ბრძოლა მიდის მატჩებში. ეს დამარცხება ტრაგედია არ არის, თუ სწორად გავაანალიზებთ მისგან ბევრ სასიკეთოს მივიღებთ.

ჩვენი მთავარი საფიქრებელი ახლა 7 სექტემბრის მატჩია მოლდოვასთან. დროში ისედაც შეზღუდულები ვართ, საჭიროა ეს სამი თვე ფეხბურთელებმა მაქსიმალურად გამოიყენონ და ნიგერიასთან მატჩში მიღებული გამოცდილება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. რაც შეეხება მატჩის ვიდეოკასეტას, იგი ჩვენ ჩამოვიტანეთ და მოკლე ხანში ვუჩვენებთ ტელევიზიით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

XIV ტური. 29, 30 მაისი

ᲒᲣᲠᲘᲐ 2:3 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი

გურია: კუნჭულია, განიევი, თევზაძე, იმწაძე, ბუცურეიშვილი, ლორია, კვინტარაძე, მაჩიტიძე, გოგოლაძე, ჭყონია, პატარაია
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, შ.ხუჯაძე, ლობჟანიძე, ნემსაძე, კიკნაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ნეფარიძე, ანჩაბაძე (ტრაპაიძე 46)

0:1 ჯამარაული (37)
0:2 ნემსაძე (55)
1:2 გოგოლაძე (60)
1:3 ჯამარაული (65)
2:3 ჭყონია (70)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 1:0 ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ
ბათუმი, სტადიონი „დინამო“

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ი. მახარაძე, შუყლიანა, სიჭინავა, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი, ტულუში, კანტიძე (ყულეფაშვილი 80, ნახუამშვილი 88)
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ.ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე

1:0 მაჭუტაძე (83 პ)

გაფრთხილება: ჯანაშია, გოგიაშვილი
გაძევება: ჯანაშია
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

ᲓᲘᲚᲐ 1:1 ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ
გორი, ცენტრალური სტადიონი

დილა: ეოლკოვი, ბალაშვილი, ნკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე (ცხადაძე 55), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე (ფეზუაშვილი 70), რევაზიშვილი, მინდიაშვილი
მარგვეთი: ნიქაბერიძე, ენდელაძე, გურიელიძე, გიგატაძე (ნიქარიშვილი 87), ლონლაძე, ხუხიაშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია

0:1 მეგრელაძე (33)
1:1 ცხადაძე (85)

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 3:1 ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ
ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ეოსკანოვი, თურმანიძე, გიორგობიანი, მალლაკელიძე, კვეტენაძე (ხუჭუა 57), სადილიანი (ვაჩიბერაძე 57)
შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი (დანელია 85), ნადირაძე, რუსია, გოგიტაძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია, ჯანაშია

0:1 ჯიქია (5)
1:1 ჩხაბერიძე (34 პ)
2:1 ვაჩიბერაძე (76)
3:1 მალალაკელიძე (85)

გაფრთხილება: მალალაკელიძე, ნადირაძე
მსაჯი: ს. კახიანი (სამტრედია)

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 6:0 ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
ფოთი, ცენტრალური სტადიონი

კოლხეთი 1913: დევაძე, მიქაბერიძე, ბულუტია, ღაღანიძე, ჭუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი (პაპავა), ტორჩინავა (სიჭინავა), ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე
ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, ვეშაპიძე, ბ.ჩადუნელი, სამხარაძე, ტყემალაძე, ნარმანია, ბაკურაძე, მარღიშვილი, ქობელაშვილი, ტოგონიძე

1:0 კიკლიაშვილი (44)
2:0 ჯულელი (46)
3:0 ჯულელი (57)
4:0 ჯულელი (59)
5:0 დარასელია (63)
6:0 დარასელია (69)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

X ტურის მატჩი, 1 ივნისი

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ 0:1 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
სამტრედია, მანუჯგალაძისსტადიონი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია (ბაკურაძე 75), გენძეხაძე (ჩომახიძე 70), ფანჩულიძე, ტონია
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, კიკნაძე, ინალიშვილი, ჯამარაული, ცქიტიშვილი, ყველაშვილი (იაშვილი 46), ანჩაბაძე

0:1 ჯამარაული (20)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

XV ტური, 3,4 ივნისი

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 0:0 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ
ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ეოსკანოვი, თურმანიძე (ჯინჭარაძე 70), გიორგობიანი, ხუჭუა (უშვერიძე 60), კვეტენაძე, ვაჩიბერაძე
კოლხეთი 1913: დევაძე, მიქაბერიძე, ღაღანიძე, მაჭავარიანი, გოროზია, ცომაია, კიკლიაშვილი, ტორჩინავა, ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე

გაფრთხილება: გოროზია, ჯულელი, ჩხაბერიძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 1:2 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
თბილისი, სტადიონი „შევარდენი“

შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, რუსია, გოგიტაძე, ბუკია, ჯიქია, დანელია (ტარტარაშვილი 46)
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი (სიხარულიძე 90), ი. მახარაძე, კანტიძე

0:1 მაჭუტაძე (2)
1:1 ჯიქია (35)
1:2 მაჭუტაძე (82)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ 3:0 ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
ივერია არ გამოცხადდა

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ 3:0 ᲒᲣᲠᲘᲐ
სამტრედია, ეროსი მანუჯგალაძის სტადიონი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი (ჭყონია 46), გოგიაშვილი, გენძეხაძე, ჯანაშია, ფარჩულიძე, ტონია (მ.ვაშაკიძე 80)
გურია: კუნჭულია, განიევი, თევზაძე, მაჩიტიძე, ბუცურეიშვილი, რ. ნარიაშვილი, კვინტარაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ჭყონია, პატარაია

1:0 ამაშუკელი (4)
2:0 გოგიაშვილი (62)
3:0 ჯანაშია (82)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2:0 ᲓᲘᲚᲐ
თბილისი, ეროვნული სტადიონი

დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე (ტრაპაიძე 80), კიკნაძე (შ. ხუჯაძე 78), ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ცქიტიშვილი, ანჩაბაძე
დილა: ეოლკოვი, ბალაშვილი, აკოფიანი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ნკრიალაშვილი (ცხადაძე 78), რევაზიშვილი (ეჯოშვილი 85), მინდიაშვილი

1:0 ინალიშვილი (18)
2:0 ჯამარაული (78)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

XVI ტური, 6, 7 ივნისი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ 1:2 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ხაშური, ცენტრალური სტადიონი

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, ნარმანია, ვეშაპიძე, სამხარაძე, ტყემალაძე, მაქაცარია, ბაკურაძე, მარღიშვილი, ლომიძე, ტოგონიძე
დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46), ბერაძე, ჩიქოვანი (მაზიაშვილი 46), ლობჟანიძე, ქველაძე, კიკნაძე, ინალიშვილი, ცქიტიშვილი, იაშვილი, ნეფარიძე, ტრაპაიძე

0:1 იაშვილი (15)
0:2 იაშვილი (43)
1:2 ბაკურაძე (57)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ᲓᲘᲚᲐ 0:3 ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ
გორი, ცენტრალური სტადიონი

დილა: ეოლკოვი, ბალაშვილი, აკოფიანი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე (ცხადაძე 30), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე (ქერდიკაშვილი 65), რევაზიშვილი, მინდიაშვილი
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია (ტონია 65), ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე (ჩომახიძე 75)

0:1 გოგიაშვილი (14)
0:2 ჭყონია (40)
0:3 იონანიძე (78)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 5:2 ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ
ფოთი, ცენტრალური სტადიონი

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, ღაღანიძე, მაჭავარიანი, ჭუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი, ტორჩინავა, პაპავა, დარასელია, ჩხაიძე
მარგვეთი: მიქაბერიძე, ენდელაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ხუხიაშვილი (მინაშვილი 75), გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია

1:0 მიქაბერიძე (10)
2:0 მიქაბერიძე (17)
2:1 მეგრელაძე (21)
3:1 მიქაბერიძე (50)
4:1 მიქაბერიძე (67)
5:1 მიქაბერიძე (80)
5:2 მეგრელაძე (81)

მსაჯი: მ. მალალურიძე (თბილისი)

ᲒᲣᲠᲘᲐ 3:3 ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ
ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი

გურია: კუნჭულია, რ. ნარიაშვილი, თევზაძე (ჭყონია 86), განიევი, ბუცურეიშვილი, პატარაია, კვინტარაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე
შევარდენი 1906: ჭანტურია, ბუკია, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ტარტარაშვილი, გოგიტიძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია (რუსია 57), ჯანაშია

0:1 გოგიჩაიშვილი (3)
1:1 თევზაძე (50)
2:1 რეხვიაშვილი (58)
2:2 ჯანაშია (61)
2:3 გოგიჩაიშვილი (81)
3:3 რეხვიაშვილი (85)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 5:2 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ
ბათუმი, სტადიონი „დინამო“

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი, ტულუში, კანტიძე
ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, სადილიანი, დიდავა, ხართიშვილი, ეოსკანოვი, ჯინჭარაძე (ხუჭუა 46), გიორგობიანი, მალლაკელიძე, კვეტენაძე, თურმანიძე (ვაჩიბერიძე 46)

0:1 მალლაკელიძე (13)
1:1 კანტიძე (42)
2:1 ტულუში (45)
3:1 ტულუში (51)
3:2 კვეტენაძე (53)
4:2 მაჭუტაძე (54)
5:2 მაჭუტაძე (76)

მსაჯი: ო. ლაცაბიძე (სურამი)

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ 0:2 ᲓᲘᲚᲐ
XIII ტური.
ხაშური, ცენტრალური სტადიონი

ივერია: გვენცაძე, ლომიძე, მჭედლიშვილი, ვეშაპიძე, ნარმანია, ტყემალაძე, მაქაცარია, ბაკურაძე, მარღიშვილი, ქობელაშვილი, ტოგონიძე
დილა: ეოლკოვი, ბალაშვილი, ცხადაძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი (ქერდიკაშვილი), მინდიაშვილი

0:1 მინდიაშვილი (50)
0:2 მარეხაშვილი (57)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

დინამო	16	15	0	1	45-9	45
კოლხეთი	16	13	1	2	45-18	40
ტორპედო	16	7	4	5	29-21	25
ბათუმი	16	7	3	6	27-21	24
სამტრედია	16	7	2	7	24-22	23
გურია	16	5	2	9	27-44	17
შევარდენი	16	4	3	9	22-26	15
მარგვეთი	16	4	3	9	22-26	15
დილა	16	4	2	10	12-30	14
ივერია	16	3	2	11	13-40	11

XI-XIX ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲝᲓᲘᲨᲘ 3:0 ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲘ
IX ტური, მრეტები არ გამოცხადდა

XIV ტური, 31 მაისი

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ 0:1 ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ
0:1 ალადაშვილი (87)

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ 7:4 ᲡᲐᲞᲝᲕᲜᲔᲚᲐ
0:1 ბუნტური (15), 0:2 გოდერძიშვილი (25), 1:2 ხეფაშვილი (30), 1:3 ჩინჩალაძე (38), 2:3 ჭვირტიძე (45), 3:3 დემეტრაძე (46), 4:3 ხეფაშვილი (47), 5:3 ჭვირტიძე (56), 6:3 დემეტრაძე (71), 6:4 უკლება (80), 7:4 დემეტრაძე (82)

ᲨᲣᲥᲣᲠᲐ 3:2 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ
1:0 კედელაძე (12), 1:1 გუბელაძე (62), 2:1 გორგილაძე (63), 2:2 ხურცილავა (83), 3:2 ანანიძე (84)

ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ 1:0 ᲝᲓᲘᲨᲘ
1:0 მეტრეველი (57)

XV ტური, 4 ივნისი

ᲝᲓᲘᲨᲘ 3:1 ᲨᲣᲥᲣᲠᲐ
0:1 გორგილაძე (26), 1:1, 2:1 გაბისონია (34, 69), 3:1 დარასელია (75)

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 3:1 ᲙᲐᲮᲔᲗᲘ
1:0 ხურცილავა, 1:1 კაციტაძე, 2:1, 3:1 ხურცილავა (70, 77)

ᲡᲐᲞᲝᲕᲜᲔᲚᲐ 2:1 ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ
1:0 გოდერძიშვილი (75 პ), 2:0 ჩინჩალაძე (78), 2:1 ნიკლაური (82)

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ 4:0 ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲘ
1:0 თ. მეტრეველი, 2:0 პერტია (33), 3:0, 4:0 ვ. კილასონია (42, 57)

XVI ტური, 8 ივნისი

ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲘ 3:3 ᲡᲐᲞᲝᲕᲜᲔᲚᲐ
1:0 გელაძე (15 პ), 2:0 ქვარცხავა (25), 2:1 ჩინჩალაძე (28), 2:2 ჭულუბაძე (30 პ), 3:2 იაგორაშვილი (54), 3:3 ჩინჩალაძე (60)

ᲨᲣᲥᲣᲠᲐ 1:0 ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ
1:0 ხურციძე (75)

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ 1:1 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ
1:0 კიპაროიძე (?), 1:1 მეგრელაძე (20)

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ 3:0 ᲝᲓᲘᲨᲘ
ოდიში არ გამოცხადდა

XVII ტური, 12 ივნისი

ᲡᲐᲞᲝᲕᲜᲔᲚᲐ 2:1 ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ
ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ 2:3 ᲙᲐᲮᲔᲗᲘ
ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 1:0 ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲘ

საპოვნელა	16	9	2	5	88-23	29
სამგურალი	15	9	1	5	24-24	28
მეტალურგი	15	9	0	6	38-16	27
კახეთი	15	8	1	6	39-29	25
ალაზანი	15	7	3	5	20-22	24
ოდიში	14	7	2	5	23-15	23
შუქურა	15	7	1	7	15-23	22
მაღაროელი	14	4	2	8	21-33	14
მრეტები	15	0	2	13	10-33	2

პირველ ჯგუფს ბოლო ოთხი გუნდი დატოვებს

მსოფლიო XV ჩემპიონატის ფინალისტთა შემადგენლობები

ᲐᲠᲥᲘᲕᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

A ჯგუფი

აშშ

1 ტონი მეოლა
2 მაიკლ ლეპერი
3 მარკ ბერნსი
4 კლე კოიმანი
5 ტომ დული
6 ჯონ ჰარკსი
7 უგო პერესი
8 ერნი სტიუარტი
9 ტაბ რამოსი
10 როი ვეგერლე
11 ერიკ ვინალდა
12 იურგენ სომერი
13 კობი ჯოუნსი
14 ფრენკ კლოპასი
15 ჯო-მაჟს მური
16 მაიკ სობერი
17 მარსელო ბალბოა
18 ბრედ ფრიდელი
19 კლაუდიო რეინა
20 პოლ კალიჯური
21 ფერნანდო კლავიხო
22 ალექს ლალასი

შვეიცარია

1 მარკო პასკოლო
2 მარკ ჰოტიგერი
3 ივონ კენტენი
4 დომინიკ ჰერი
5 ალენ გაიგერი
6 ჟორჟ ბრეგი
7 ალენ სუტერე
8 კრისტოფ ორელი
9 ადრიან ენუპი
10 ჩირიაკო სფორცა
11 სტეფან შაპუიზა
12 შტეფან ლემანი
13 ანდრე ეგლი
14 ნესტორ სუბია
15 მარკო გრასი
16 თომას ბიკელი
17 სებასტიან ფურნიე
18 მარტინ რუდა
19 იურგენ შტუდერი
20 პატრიკ სილვესტრი
21 თომას ვეისი
22 მარტინ ბრუნერი

კოლუმბია

1 ოსკარ კორდობა
2 ანდრეს ესკობარი
3 ალექსის მენდოსა
4 ლუის ერერა
5 ერმან გავირია
6 გაბრიელ გომესი
7 ენტონი დე ავილა
8 ხაროლდ ლოსანო
9 ივან ვალენსიანო
10 კარლოს ვალდერამა
11 ადოლფო ვალენსია
12 ფარიდ მონდრაგონი
13 ნესტორ ორტისი
14 ფეონელ ალვარესი
15 ლუის კარლოს პერეა
16 ვიქტორ არისტასაბალი
17 მაურისიო სერნი
18 ოსკარ კორტესი
19 ფრედი რინკონი
20 ვილსონ პერესი
21 ფაუსტინიო ასპრილია
22 ხოსე მარია პასო

რუმინეთი

1 ფლორინ პრუნია
2 დან პეტრესკუ
3 დანიელ პროდანი
4 მიოდრაგ ბელოდედიჩი
5 იონ ლუპესკუ
6 გეორგე პოპესკუ
7 დორინელ მუნტიანო
8 იულიან კირიცე
9 ფლორინ რადუჩოუ
10 გეორგე ჰაჯი
11 ილიე დუმიტრესკუ
12 ბოგდან სტელია
13 ტიბორ შეიმეში
14 გეორგე მიხალი
15 ნიკა ბასარაბ პანდურუ
16 იონ ვლადოიუ
17 ვიორელ მოლდოვანი
18 კონსტანტინ გილჩა
19 კორნელიუ პაპურა
20 ოვიდიუ სტინგა
21 მარიან ივანი
22 სტეფან პრედა

B ჯგუფი

ბრაზილია

1 კლაუდიო ტაფარელი
2 ჟორჟინიო
3 რიკარდო როჩა
4 რიკარდო გომესი
5 მაურო სილვა
6 ბრანკო
7 ბებეტო
8 დუნგა
9 ზინიო
10 რაი
11 რომარიო
12 ზეტი
13 ალდაირი
14 კაფუ
15 მარსიო სანტოსი
16 ლეონარდო
17 მაზინიო
18 პაულო სერჟიო
19 მიულერი
20 რონალდო
21 ვიონლა
22 ჟილმარი

რუსეთი

1 სტანისლავ ჩერჩესოვი
2 დმიტრი კუზნეცოვი
3 სერგეი გორლუკოვიჩი
4 დმიტრი გალიამინი
5 იური ნიკიფოროვი
6 ვლადისლავ ტერნავსკი
7 ანდრეი პიატნიცკი
8 დმიტრი პოპოვი
9 ოლეგ სალენკო
10 ვალერი კარპინი
11 ვლადიმირ ბესჩასტნიხი
12 ომარ თეთრაძე
13 ალექსანდრ ბოროდიუკი
14 იგორ კორნეევი
15 დმიტრი რადჩენკო
16 დმიტრი ხარინი
17 ილია ციმბალარი
18 ვიქტორ ონოპკო
19 ალექსანდრ მოსტოვოი
20 იგორ ლედიახოვი
21 დმიტრი ხლესტოვი
22 სერგეი იურანი

კამერუნი

1 იოზეფ-ანტუან ბელი
2 ანდრე კანა-ბიიკი
3 როგობერტ ბახანანგ სონგი
4 სამუელ ეკემე
5 ვიჭტორ ნდიბ აკემი
6 თომას ლიბიხი
7 ფრანსუა ომამ-ბიიკი
8 ემილ მბუ
9 როჟე მილა
10 ლუი პოლ მფედე
11 ემანუელ მაბუანგი
12 სერჟ-პოლ ლოგა
13 რაიმონდ კალა
14 სტეფან ტატავი
15 ჰანსი აგბო
16 ალფონს ჩამი
17 მარკ ვილიენ ფოე
18 ჟან-პიერ ფიალა
19 დავიდ ემბე
20 ჟორჟ მუიემე
21 თომას ნკონო
22 ჟაკ სონგოო

შვედეთი

1 თომას რაველი
2 რონალდ ნილსონი
3 პატრიკ ანდერსონი
4 იოახიმ ბიერკლუნდი
5 როჯერ ლუნგი
6 სტეფან შვარცი
7 ჰენრიკ ლარსონი
8 კლას ინგესონი
9 იონას ტერნი
10 მარტინ დალინი
11 თომას ბროლინი
12 ლარს ერიქსონი
13 მიჭაელ ნილსონი
14 პონტუს კამარკი
15 იან ერიქსონი
16 ანდერს ლიმპარი
17 სტეფან რენი
18 ჰოკან მილდი
19 კენეტ ანდერსონი
20 მაგნუს ერლინგმარკი
21 იესპერ ბლომკვისტი
22 მაგნუს ჰედმანი

C ჯგუფი

გერმანია

1 ბოდო ილგნერი
2 თომას შტრუნცი
3 ანდრეას ბრემე
4 იურგენ კოლერი
5 თომას ჰელმერი
6 გვიდო ბუხვალდი
7 ანდრეას მიოლერი
8 თომას ჰესლერი
9 კარლ-ჰაინც რიდლე
10 ლოთარ მათეუსი
11 შტეფან კუნცი
12 ანდრეას კეპკე
13 რუდი ფიოლერი
14 თომას ბერთოლდი
15 მაურიციო გაუდინიო
16 მათიას ზამერი
17 მარტინ ვაგნერი
18 იურგენ კლინსმანი
19 ულფ კირსტენი
20 შტეფან ეფენბერგი
21 მარიო ბასლერი
22 ოლივერ კანი

ბოლივია

1 კარლოს ტრუკო
2 ხუან მანუელ პენია
3 მარკო ანტონიო სანდი
4 მიგელ რიმბა
5 გუსტავო კინტეროსი
6 კარლოს ბორხა
7 მარიო პენედო
8 ხოსე მილტონ მელგარი
9 ალვარო პენია
10 მარკო ანტონიო ეჩევერი
11 ხაიმე მორენო
12 დარიო როხასი
13 მოდესტო სორუკო
14 მაურისიო რამოსი
15 ვლადიმერ სორია
16 რუის კრისტალდო
17 ოსკარ სანჩესი
18 ვილიამ რამალიო
19 მარსელო ტორიკო
20 რამირო კასტილიო
21 ერვინ სანჩესი
22 ხულიო ბალდირიესო

ესპანეთი

1 ანდონი სუბისარეტა
2 ალბერტ ფერერი
3 ხორხე ოტერო
4 ფრანსისკო ხოსე კამარასა
5 აბელარდო
6 ფერნანდო იერო
7 ხუან ანტონიო გოიკოეჩეა
8 იულენ გერერო
9 ხოსეპ გვარდიოლა
10 ხოსე მარია ბაკერო
11 აიტორ ბეგირისტაინი
12 სერხი
13 ხოსე სანტიაგო კანისარესი
14 ხუანელე
15 ხოსე ლუის პერეს კამინერო
16 ფელიპე
17 სალვადორ გონსალეს ბორო
18 რაფაელ ალკორტა
19 ხულიო სალინასი
20 მიგელ ანხელ ნადალი
21 ლუის ენრიკე
22 იულენ ლოპეტეგი

კორეა

1 ჩოი ინ იუნი
2 ჩან ჩეონ გსონი
3 ლი ჩეონ ხვა
4 კიმ პან კიუნი
5 პარკ ჩეუნ ბა
6 ლი იუნ ჩეინი
7 შინ ხონ გი
8 ნო ჩეუნ იუნი
9 კიმ ჩეუნ სენი
10 კო ჩეუნ ვუნი
11 სე ჩეუნ ვონი
12 ჩოი იუნ ილი
13 ან იკ სუ
14 ჩოი და სიკი
15 ჩო ჩეინ ხო
16 ხა სეკ ჩეუ
17 გუ სან ბუმი
18 ხვან სენ ხონი
19 ჩოი მუნ სიკი
20 ხონ მიუნ ბო
21 პარკ ჩულ ვუ
22 ლი ვუნ ჩეა

D ჯგუფი

არგენტინა

1 სერხიო გოიკოეჩეა
2 სერხიო ვასკესი
3 ხოსე შამოტი
4 რობერტო ნესტორ სენსინი
5 ფერნანდო რედონდო
6 ოსკარ რუჯერი
7 კლაუდიო კანიჯა
8 ხოსე �უალდო
9 გაბრიელ ბატისტუტა
10 დიეგო მარადონა
11 რამონ მედინა ბელო
12 ლუის ისლასი
13 ფერნანდო კასერესი
14 დიეგო სიმეონე
15 ხორხე ბორელი
16 ერნან დიასი
17 არნალდო ორტეგა
18 უგო პერესი
19 აბელ ბალბო
20 ლეონარდო როდრიგესი
21 ალეხანდრო მანკუზო
22 ნორბერტო სკოპონი

საბერძნეთი

1 ანტონის მინუ
2 სტრატოს აპოსტოლაკისი
3 ანასტასიოს კოლიციდაკისი
4 სტელიოს მანოლასი
5 იოანის კალიცაკისი
6 პანაიოტის ცალუხიდისი
7 დიმიტრის სარავაკოსი
8 ნიკოს ნიობლიასი
9 ნიკოს მახლასი
10 ანასტასიოს მიტროპულოსი
11 ნიკოს ციანტაკისი
12 სპიროს მარაგოსი
13 ვაიოს კარაიანისი
14 ვასილის დიმიტრიადისი
15 ხრისტოს კარკამანისი
16 ალექსის ალექსუდისი
17 მინას ხაძიდისი
18 კირიაკოს კარატაიდისი
19 სავას კოფიდისი
20 ელიას ატმაძიდისი
21 ალექსანდროს ალექსანდრისი
22 ალექსის ალექსიუ

ნიგერია

1 პეტერ რუფაი
2 ავგუსტინ ეგუავონი
3 ბენედიქტ იროზა
4 სტეფან კეში
5 უჩე ოკეჩუკვუ
6 ჩიდი ნვანუ
7 ჯორჯ ფინიდი
8 ტომპსონ ოლიხა
9 რაშიდი იეკინი
10 ავგუსტინ ოკოჩა
11 ემანუელ ამუნიკე
12 სამსონ სიასია
13 ემეკა ეზეუგო
14 დანიელ ამოკაში
15 სანდი ოლისე
16 ალოი აგუ
17 ვიქტორ იკპება
18 ეფან ეკოკუ
19 მაიკ ემენალო
20 უჩე ოკაფორი
21 მუტიუ ადეპოტუ
22 ვილფრედ აგბონავბარე

გულგარეთი

1 ბორისლავ მიხაილოვი
2 ემილ კრემენლიევი
3 ტრიფონ ივანოვი
4 ცანკო ცვეტანოვი
5 პეტარ ხუბჩევი
6 ზლატკო იანკოვი
7 ემილ კოსტადინოვი
8 ხრისტო სტოიჩკოვი
9 იორდან ლეჩკოვი
10 ნასკო სირაკოვი
11 დანიელ ბორიმიროვი
12 პლამენ ნიკოლოვი
13 ივაილო იორდანოვი
14 ბონჩო გენჩევი
15 ნიკოლაი ილიევი
16 ილიან კირიაკოვი
17 პეტარ მიხტარსკი
18 პეტარ ალექსანდროვი
19 გეორგი გეორგიევი
20 კრასიმირ ბალაკოვი
21 ველკო იოტოვი
22 ივაილო ანდონოვი

E ჯგუფი

იტალია

1 ჯანლუკა პალიუკა
2 ლუიჯი აპოლონი
3 ანტონიო ბენარივო
4 ალესანდრო კოსტაკურტა
5 პაოლო მალდინი
6 ფრანკო ბარეზი
7 ლორენცო მინოტი
8 რობერტო მუსი
9 მაურო ტასოტი
10 რობერტო ბაჯო
11 დემეტრიო ალბერტინი
12 ლუკა მარკეჯანი
13 დინო ბაჯო
14 ნიკოლა ბერტი
15 ანტონიო კონტე
16 რობერტო დონადონი
17 ალბერიგო ევანი
18 პიერლუიჯი კაზირაგი
19 დანიელე მასარო
20 ჯუზეპე სინიორი
21 ჯანფრანკო ძოლა
22 ლუკა ბუჩი

ირლანდია

1 პატ ბონერი
2 დენის ირვინი
3 ტერი ფილანი
4 კევინ მორანი
5 პოლ მაკგრათი
6 როი კინი
7 ენდი თაუნსენდი
8 რეი ჰავთონი
9 ჯონ ოლდრიჯი
10 ჯონ შერიდანი
11 სტივ სთონთონი
12 გარი კელი
13 ალან კერნაგანი
14 ფილ ბეგბი
15 ტომი კოინი
16 ტონი კასკარინო
17 ენდრიუ მაკგოლდრიკი
18 რონი ვილანი
19 ალან მაკლაფლინი
20 დევიდ კელი
21 დეისონ მაკეიტირი
22 ალან კელი

ბელგია

1 მიშელ პრიუდომი
2 დირკ მედვედი
3 ვიტალ ბორკელმანსი
4 ფილიპ ალბერი
5 რუდი სმიდტსი
6 ლორენცო სტალენსი
7 ფრენკი ვან დერ ელსტი
8 ლუკ ნილისი
9 მარკ დეგრიზი
10 ენცო შიფო
11 ალექს ჩერნიატინსკი
12 ფილიპ დე ვილდე
13 ჟორჟ გრიუნი
14 მიშელ დე ვოლფი
15 მარკ ემერსი
16 დენი ბოფინი
17 იოსიპ ვებერი
18 მარკ ვილმოტსი
19 ერიკ ვან მეირი
20 დენი ვერლინდენი
21 სტეფან ვან დერ ჰეიდენი
22 პასკალ რენიე

მაროკო

1 ხალილ აზმი
2 ნასერ აბდელაჰი
3 აბდელქარიმ ელ ჰადრიუი
4 ტაჰარ ელ ხალეჯი
5 ისმაილ ტრიკი
6 ნურედინ ნაიბეტი
7 მუსტაფა ჰაჯი
8 რაშიდ აზუზი
9 მოჰამედ შაუში
10 მუსტაფა ელ ჰადაუი
11 რაშიდ დაუდი
12 საიდ დგაი
13 აჰმედ ბახჯა
14 აჰმედ მესბახი
15 ლარდი ჰაბაბი
16 ჰასან ნადერი
17 აბდელალამ ლაღრისი
18 რაშიდ ნეკრუსი
19 აბდელმაჯიდ ბუიბუბი
20 ჰასან კაშლუ
21 აზიზ სამადი
22 ზაჰარია ალაუი

F ჯგუფი

შოტლანდია

1 ედ დე გუი
2 ფრენკ დე ბური
3 ფრენკ რაიკაარდი
4 რონალდ კუმანი
5 რობ ვიჩხე
6 იან ვაუტერსი
7 მარკ ოვერმარსი
8 ვიმ იონკი
9 რონალდ დე ბური
10 დენის ბერხკამპი
11 ბრაიან როი
12 ჯონი ბოსმანი
13 ედვინ ვან დერ სარი
14 ულრიხ ვან გობელი
15 დენი ბლინდი
16 არტურ ნუმანი
17 გასტონ ტაუმენტი
18 სტან ვალჭსი
19 პეტერ ვან ფოსენი
20 აარონ ვინტერი
21 ჯონ დე ვოლფი
22 თეო სნელდერსი

მექსიკა

1 ხორხე კამპოსი
2 კლაუდიო სუარესი
3 ხუან რამირეს პერალესი
4 იგნასიო ამბრისი
5 ხესუს რამონ რამირესი
6 მარსელინო ბერნალი
7 კარლოს ერმოსილიო
8 ალბერტო გარსია ასპე
9 უგო სანჩესი
10 ლუის გარსია
11 ლუის ალვეს ზაგე
12 ფელიქს ფერნანდესი
13 ხუან კარლოს ჩავესი
14 ხოაკიმ დელ ოლმო
15 მიხაელ ესპინოსა
16 ლუის ვალდესი
17 ბენხამინ გალინდო
18 ხოსე სალგადო
19 ლუის მიგელ სალვადორი
20 ხორხე როდრიგესი
21 რაულ გუტიერესი
22 ადრიან ჩავესი

საუდის არაბეთი

1 მოჰამედ ალ დეაია
2 აბდულა ალ დოსარი
3 მოჰამედ ალ ჭლავი
4 აბდულა სულეიმანი
5 აჰმედ ჯამილ მადანი
6 ფუად ანვარ ამინი
7 ფაჰად ალ გაშიანი
8 ფაჰად ალ ბიში
9 მაჯიდ აბდელაჰი
10 საიდ ოვაირანი
11 ფაჰად მეჰალელი
12 სამი ალ ჯაბერი
13 მოჰამედ აბდელ ჯავადი
14 ხალიდ ალ მუვალიდი
15 სალეხ ალ დაუდი
16 თალალ ალ ჯიბრინი
17 იასერ ალ თაიფი
18 ავად ალ ანაზი
19 ჰამზა სალეხი
20 ჰამზა საედ სალატახტახი
21 ჰუსეინ ჯავად ალ სადიგი
22 იბრაჰიმ ალ ხელვა

საქართველოს საუკეთესო კალათბურთელი

ნიკოლოზ დერიუგინი



ყეზონის საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად მონყობილ გამოკითხვაში მონაწილეობა 23 ჟურნალისტმა მიიღო. აქვე ვიტყვით, რომ ამ გამოკითხვას საერთო არაფერი აქვს ფედერაციის მიერ დანესებულ პრიზებთან და მხოლოდ მედიის წარმომადგენელთა აზრს გამოხატავს. პრიზი, რომელიც დაანესა ჟურნალისტმა მერაბ რატიშვილმა და უკვე მეორე სეზონია, პრესა-ტელევიზიაში სპორტით დასაქმებულთა რჩეულს გადაეცემა, წლეულს ნიკოლოზ დერიუგინს ერგო. „ბებერმა ვარსკვლავმა“ 123 ქულა მოაგროვა ანუ რვა გამოკითხულმა პირველ ნომრად დაასახელა, რვამ მეორედ, ერთმა მესამედ (პირველის ფასია 10 ქულა, მეორის — 5, მესამის — 3). ადგილები ასე განაწილდა:

1.	ნიკოლოზ დერიუგინი (თბილისი)	— 123	(8, 8, 1)
2.	ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტუსი)	— 89	(5, 6, 3)
3.	დავით თორთლაძე (თორსი)	— 57	(4, 1, 4)
4.	შალვა ცხვედიანი (დინამო)	— 40	(1, 3, 5)
5.	ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა)	— 32	(2, 0, 4)
6.	რევაზ ჩხეიძე (კაქტუსი)	— 26	(1, 2, 2)
7.	მიხეილ კობეშავიძე (ვითა)	— 24	(1, 1, 3)
8.	მალხაზ ანდღულაძე (მერანი)	— 10	(1, 0, 0)
9.	კახა შენგელია (ვითა)	— 8	(0, 1, 1)
10.	არჩილ ულენტი (კაქტუსი)	— 3	(0, 0, 1)

მიხი ხნისა ბევრი უკვე სტაჟიანი ვეტერანია, კალათბურთის სანახავად იშვიათად თუ მოიცლის და მოგონებათა სადღეგრძელოს შესმისასლა გაახსენდება გადამწყვეტი მატჩების კულმინაციური ნაშები და მაყურებელთა ყიჟინა. კოლიასთვის ყველაფერი ეს დღევანდელი დღეა. იგი „კლავაც მოედანზეა“ და კლავაც თავდაუზოგავად იბრძვის, „მაყურებელი კი მის სახელს ისევე გაიძახის, როგორც ადრე „დინამოში“ თამაშისას. კალათბურთში ბევრი რამ პროცენტებით ფასდება, ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ზუსტად ვერავინ დაიანგარიშებს, როგორია დერიუგინის წილი იმაში, საქართველოს ჩემპიონატი ასე საინტერესოდ რომ ტარდება. თუმცა ციფრები რა ბედენაა — რომელი კალკულატორი მოვა მაყურებელთა სიმპათიებთან.

— ეს-ესაა დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი და, ბუნებრივია, მისი შეფასების დროც დადგა...

— პირადად ჩემთვის ეს სეზონი ძალიან მძიმე იყო. სხვადასხვა მიზეზით ამ ზამთარს ნამეტანი გაიწელა შუალედი პირველსა და მეორე წრეს შორის. ეს წლევანდელი ჩემპიონატის უდიდეს ნაკლად მიმანნია. ამ ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ვარჯიშის ამარა ვიყავით. ამან „ვადწვას“ რომ ეძახიან, ისიც დაგვმართა და კალაპოტიდანაც გვარიანად ამოგვგდო. საერთოდ, ჩვენი ჩემპიონატი რომ ნორმალურად ჩატარდეს, ძირითადად ორი რამ არის საჭირო: გონიერულად შედგეს კალენდარი, რომელიც შემდგომ არ დაირღვევა და მსაჯობის დონე იმაზე მაღალი იყოს, რაც ახლა ჩვენთანაა. ეს მეორე პირობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ძალზე ფიცხი ხალხი ვართ, მსაჯის ყოველი შეცდომა ძლიერ გვხვდება გულზე და დიდ აყალმაყალსაც იწვევს ხოლმე.

— თქვენი აზრით, რა აკლია ახალგაზრდა კალათბურთელების დღევანდელ თაობას?

— თავდაბლობა. უფროს თაობასთან კრძალვით ვიქცეოდნენ, რიდით ველაპარაკებოდი საკანდელიძეს, მიშა ქორქიას, სხვებს... ახლა კი ასაკს არად დაგიდევენ და გაცილებით უმცროსმა შეიძლება გვარიანად გამოგლანძღოს დ მუშტიც მოგიღეროს. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე არ ითქმის. არადა, საოცრად ნიჭიერი თაობა იზრდება და თუ თავდაჭერაც ისწავლეს, რაც უკეთ თამაშის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ნამდვილად კარგი კალათბურთელები დადგებიან. ცხადია, არც მონდომებაა დასაფიწყებელი. თბილისში რომ ჩამოვედი, დიღომში ვცხოვრობდი „დინამოს“ ბაზაზე. ყოველდღე ფილაუთენია ვდგებოდი და მარტო ვვარჯიშობდი.

— ერთი ხანობა, არცთუ მცირე დროით, კალათბურთს ჩამოშორდით და, შემდგომ კი ისევ დაუბრუნდით...

— კალათბურთიდან ჩემი წასვლა საბედისწერო შემთხვევის ბრალია: 26 წლისამ, იმ ასაკში, ზოგი რომ „დიდ თამაშს“ იწყებს, ერთ ნავსიან მატჩში მუხლი დავზიანე. ოპერაცია უხეიერო გამოდგა, ძალი არასწორად შეიზარდა. ამ ჩემ საცოდავ მუხლს ახლაც ეტყობა ამის კვალი. უცხოეთში წასვლა და იქ მკურნალობა მირჩიეს, მაგრამ იმ დროს საჭირო რაოდენობის ვალუტა ვერ გამოინახა.

დაბრუნება კი კალათბურთის სიყვარულმა მიიძულა, თანაც უკვე ეროვნული ჩემპიონატები ტარდებოდა და ამ საქმეს, ვისაც რით და როგორ შეეძლო, უნდა დავხმარებოდით, რაც, ვფიქრობ, ჩემი სარბიელზე დაბრუნებით გავაკეთე. თუმცა, ფაქტობრივად, ცალი ფეხით ვთამაშობ — მატჩებზე სამუხლე სახვევების გარეშე ვერ გამოდივარ.

— კალათბურთელი, რომლის თამაში სხვებისაზე მეტად მოგწონდათ?

— ჩვენებიდან მიშა ქორქია, უცხოელთაგან კი— ჯორდანი ჯორდანია, უბადლონი იყვნენ ლარი ბერდი და „მეჯიქ“ ჯონსონი. აქამდე ჟურნალისტებისთვის არ მითქვამს, რომ თავის დროზე ლარი ბერდს საკმაოდ დავუახლოვდი. მისი და ჯონსონის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მაშინ მითამაშია, როცა ისინი სტუდენტურ კალათბურთში გამოდიოდნენ. ახლანდელთაგან, ვფიქრობ, შაკილ ონილს აქვს დიდი მომავალი.

— სპორტსმენებს განსაკუთრებული კვება ესაჭიროებათ. რომელი კერძი გიყვართ გამორჩეულად?

— ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, ყველა საქმელი ერთნაირად შემოყვარდა.

— ამდენის მნახველს ალბათ ბევრი ისეთიც გადაგხდებოდათ, კურიოზებს რომ უწოდებენ. რამეს ხომ არ გაიხსენებდით?

— ერთხელ მართლაც რომ საოცარი რამ გადამხდა: პუერტო-რიკოში მივემგზავრებოდი სხრკ-ს ნაკრებთან ერთად. აეროფლოტის თვითმფრინავმა ერთი საათით დაგვიანა ჟორენ და იამაიკაზე ჩასულები, სადაც სხვა თვითმფრინავში უნდა გადავმსხდარიყავით, პუერტო-რიკოს რეისს ჩამოვრჩით. ერთი კვირა გვიწევდა იამაიკაზე ყურყუტი, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ საიდანღაც ორი პატარა, 8 და 4-ადგილიანი თვითმფრინავი გაარღვია. რვაადგილიანში თორმეტნი ჩასხდნენ, ოთხიანში კი ტკაჩენკო, სპორნისი, ბელოსტენი და მე მოვთავსდით. თვითმფრინავი ძალიან პატარა და თან ძველიც იყო, ჯერ იყო და ძლივს აფრინდა, შემდგომ კი საითაც ქარი დაუბერავდა, ისიც იქით მიფრინავდა. მე ჩემოდნებზე ვიჯექი სპარგო განყოფილებაში, ღელელს ჩამძინებოდა, უნებურად ფეხიც გამეშალა, თვითმფრინავის კარისთვის მიმეხეხინა და ისიც გაღებულა. ჩემოდნები ღამის გარეთ გადაცვივდა და მეც კინაღამ მათ მივყევი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ფრენამ კი ერთი საათის მაგივრად რვა საათს გასტანა.

— რაც უნდა ხანგრძლივი იყოს სპორტული კარიერა, იგი მაინც სრულდება და მოთამაშე არჩევანის წინაშე დგება — ან ისევ სპორტში, ან...

— ვფიქრობ, ორ-სამ სეზონსღა თუ ვითამაშებ. შეიძლება საზღვარგარეთ წავიდე — ბელგიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში და ფინეთში მეპატიჟებიან. ჯერ არ გადამწყვეტია, წავალ თუ დავრჩები. შორეულ გეგმებზე კი რა გითხრათ, ახლა ისეთი არეული დროა, კაცმა არ იცი ხვალ რა მოხდება. ისე, მწვრთნელობა მინდა დავიწყო.

ერეკლე კიკილაშვილი

ვლადიმერ სტეფანია:

ორ თვეში ერთ დღეს ვისვენებ...

...სტეფანია თურმე სლოვაკეთში თამაშობს... ლიუბლიანის გუნდმა წლეულს თასების თასი მოიპოვა და ნეტა იმ გუნდში თუა? იქაური მწვრთნელები ნაღდად ვარჯიშის საგანგებო გრაფიკის შედგენას შეუდგნენ და ალბათ საკმაოდაც მოღონიერდა...

ჯერის ბაღის დარბაზში მთელი სეზონის მანძილზე გაიგონებდით ამ კითხვაკარუდებს, რომელთაც პასუხი თავად ვლადიმერ სტეფანიას ჩამოსვლამ გასცა. ყველაზე მაღალი 213 სმ სიმაღლის 18 წლის ქართველი კალათბურთელი ახლახან ორკვირიანი შვებულებით ჩამოვიდა თბილისში და, ცხადია, ჩემპიონატის ნახევრფინალურ მატჩებსაც დესწრო.

— შენ ამბებს ჟურნალისტებით თუ ვგებულობთ — მარტო ის ვიცით, რომ სლოვენიაში ხარ და „ოლიმპიაში“ თამაშობ...

— ვთამაშობ ლიუბლიანის „სელტ-ოლიმპიაში“. ეს გუნდი სეზონში ჩვეულებრივ, რამდენიმე ტურნირში მონაწილეობს. პირველი, ცხადია, თავად სლოვენიის ლიგაა, რომლის დონე „აშკარად ჩამოუვარდება ევროპის სხვა ქვეყნების ჩემპიონატებისას. ჩვენ აქ კონკურენტი, ფაქტობრივად, არა გვყავს და წელსაც ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ. ვთამაშობთ აგრეთვე სუპერლიგაში, რომელშიც 5 ქვეყნის გუნდები გამოდიან. ბუნებრივია, ემონაწილეობთ ევროთასებზეც. წლეულს, თასების თასის ნახევარფინალში დავამარცხეთ სალონიკის „სატვარისი“, რომელშიც, სხვათა შორის ყოფილი თბილისელი იგორ მერაიტვი თამაშობს. ფინალში ესპანეთის თასის მფლობელ „ტუგრეხს“ მოვუგეთ და თასების თასიც მოვიპოვეთ. საყვედური არც პირობებზე მეთქმის. კალათბურთი სლოვენიაში ყველაზე პოპულარული სპორტია. სექტემბერში, ჩასვლისთანავე მომცეს ბინა, დამინიშნეს სლოვენიურის მასწავლებელი, ახლა კი ენა გავიტეხე და თითქმის თავისუფლად ველაპარაკობ. მოკლედ, შენ ოღონდ კალათბურთი ითამაშე ხეირიანად და არაფერს მოგაკლებენ.

— უფრო დაწვრილებით შენს გუნდზე. რამდენი უცხოელი ხართ იქ?

— „სელტ-ოლიმპიას“ ტაქტიკა შორიდან სრულებზეა აგებული და ამ საქმის ჩინებული ოსტატებიც გვყავს — მათი ტყორცნების ნახევარზე მეტი ზუსტია. პირველი ცენტრი ყოფილი იუგოსლავიის ნაკრების წევრი 33 წლის ჟარკო ჟუვიჩიჩია. ჩვენთან თამაშობდა იურე ზდოვეცი, რომელიც ევროპაში საუკეთესო გამთამაშებლად იყო აღიარებული და ახლა „ირაკლისში“ გადავიდა. უცხოელები სამნი ვართ: რუსი ვიტალი ნოსოვი, ყოფილი იუგოსლავიის ნაკრების წევრი, ჩერნოგორიელი ნებოშა რაბიჩი და მე. ერთი ამერიკელიც გვყავდა. მარკ მიზელ დრაფტშიც იყო შეყვანილი, მაგრამ ისეთი პირი უჩანდა, არცერთი გუნდი არ აირჩევდა და ევროპაში ჩამოსვლა ამჯობინა. 180 სანტიმეტრი სიმაღლისა საკარიერო ხაზიდან სანტიმეთ ტენიდა ბურთს, მაგრამ სროლა არაფრად უვარგოდა და ხელმძღვანელობამ დაითხოვა.

— სლოვენიის ჩემპიონატის სათამაშო დონეზე უკვე თქვი, რას იტყოდი მის ორგანიზაციულ საკითხზე?

— ჩემპიონატი ძალიან კარგად არის ორგანიზებული. სლოვენები კულტურული, წესიერი ხალხია და ჩემპიონატიც ასეთივე აქვთ. ახალისულს იქ ერთხელ ჩვენთვის ძალიან უცნაური და მოულოდნელი რამ შემეშთხვა: მეორე თუ მესამე შეხვედრაში ბურთისთვის ბრძოლაში მსაჯმა დამაჯარიმა, ჩემი აზრით, წესი არ დამირღვევია და არბიტრს წყნარად ვკითხე, რა დავაშავე მეთქი, მან კი უმალ ტექნიკური მაჩვენა და არა თუ იმ მატჩის, კიდევ ორი მომდევნოს გამოტოვება მომიხდა. მწვრთნელს არაფერი უთქვამს, რადგან ახალბედა ვიყავი. ჩხუბი მოედანზე საერთოდ არ მისახავს, ზოგჯერ კი წაკიკნლავდებიან ხოლმე მოთამაშეები, ძირითადად სერბები და ჩერნოგორიელები, მაგრამ ამათგან ეს არვის უკვირს.

— მოღონიერებული ჩანხარ...

— დილაობით საათნახევარს ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, საღამოს სამოთხ საათს გუნდთან ერთად ტაქტიკური მეცადინეობაა, სამ დღეში ერთხელ ტრენაჟორები. დასასვენებლად ორ თვეში ერთი დღე გვეძლევა.

— მომავლის გეგმებზე რას გვეტყვი?

— „სელტ-ოლიმპიასთან“ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს. წელს გამოსაცდელი ვადა მჭონდა, თავიდან 2-3 წუთს თუ ვთამაშობდი, აქ წამოსვლის წინ კი 15-20 წუთი მიწევდა მოედანზე ყოფნა. მწვრთნელები კმაყოფილები არიან და თუ ყველაფერი კარგად წავიდა ევროპის თასებზეც ვითამაშებ.

ერეკლე კიკილაშვილი

ვლადიმერ სტეფანია „სელტ-ოლიმპიას“ ყველაზე მაღალი მოთამაშეა

საქართველოს ჩემპიონატი

ნახევარფინალი 1-3 ივნისი

თბილისი 2-1 კაქტუსი

თბილისი — კაქტუსი 89:81 (44:46)
თბილისი: ცაგარეიშვილი (1), სანაძე (20), ქარაბაკი (20), ხელაშვილი (10), დერიუგინი (11); გურასპაული (24), ახვლედიანი (11), კოკოლიშვილი (2)
კაქტუსი: ა. ულენტი (11), აბრამიძე (10), ჩხეიძე (12), ნაცვლიშვილი (18), ბერძენიშვილი (4); ხოშტარია (4), ოთიურიძე (22), ქართველიშვილი

კაქტუსი — თბილისი 87:83 (37:45)
კაქტუსი: ქართველიშვილი (6), ხოშტარია (19), აბრამიძე (6), ნაცვლიშვილი (25), ბერძენიშვილი (16); ა. ულენტი (6), ჩხეიძე, ოთიურიძე (7), ტეფნაძე, აბულაძე (2)
თბილისი: ცაგარეიშვილი (10), სანაძე (8), ქარაბაკი (6), ხელაშვილი (16), დერიუგინი (20); გურასპაული (21), კოკოლიშვილი (2), შავლიხაშვილი

თბილისი კაქტუსი 91:72 (40:34)
თბილისი: გურასპაული (26), ცაგარეიშვილი (5), სანაძე (16), ხელაშვილი (10), დერიუგინი (22); ახვლედიანი (2), ქარაბაკი (7), ქორქია (3), შავლიხაშვილი, კოკოლიშვილი
კაქტუსი: ქართველიშვილი (3), ხოშტარია (9), ჩხეიძე (13), ნაცვლიშვილი (18), ბერძენიშვილი (9); ა. ულენტი (5), აბრამიძე (2), ოთიურიძე, აბულაძე (9), ტეფნაძე (2)

ვითა 2-0 თორსი

ვითა — თორსი 115:99 (57:40)
ვითა: ჩერქეზიშვილი (7), უძილაური (5), კობეშავიძე (13), ბეჟანიშვილი (11), შენგელია (19); ტურაშვილი (17), ორმოცაძე (4), კორძაძე (16), ჩუბინიძე (19), მაჭარაძე (4)
თორსი: დ. თორთლაძე (49), ი. თორთლაძე (12), ღუდუშაური (9), ტალაბაძე (23), ხარაძე (4); ცაგარეიშვილი

ვითა — თორსი 95:70
ვითა: ჩერქეზიშვილი (9), ტურაშვილი (24), კობეშავიძე (5), ორმოცაძე (7), შენგელია (17); ბეჟანიშვილი (5), კორძაძე (4), ბერუაშვილი (3), უძილაური (5), ჩუბინიძე (12), მაჭარაძე (2)
თორსი: დ. თორთლაძე (29), ი. თორთლაძე (18), ტალაბაძე (6), ღუდუშაური (6), ხარაძე (4); ცაგარეიშვილი (5), მიქაძე (2)

მესამე ადგილისთვის, 6-7 ივნისი

კაქტუსი 2-0 თორსი

კაქტუსი —. თორსი 72:63 (31:32)
კაქტუსი: ა. ულენტი (4), ხოშტარია (14), ჩხეიძე (12), ნაცვლიშვილი (18), ბერძენიშვილი (9); ქართველიშვილი (11), აბრამიძე (2), ოთიურიძე (1)
თორსი: დ. თორთლაძე (23), ი. თორთლაძე (13), ღუდუშაური (14), ტალაბაძე (11), ხარაძე (2); ცაგარეიშვილი, კლეიტონი

კაქტუსი — თორსი 87:81 (39:36)
კაქტუსი: ა. ულენტი (8), ჩხეიძე (12), ნაცვლიშვილი (24), აბრამიძე (9), ბერძენიშვილი (8); ხოშტარია (15), ოთიურიძე (4), ქართველიშვილი (1), აბულაძე (6)
თორსი: დ. თორთლაძე (38), ი. თორთლაძე (11), ღუდუშაური (8), ტალაბაძე (16), ხარაძე (2), ცაგარეიშვილი (6)

ფინალი, 6-8 ივნისი

ვითა 2-1 თბილისი

ვითა — თბილისი 77:74 (49:39)
ვითა: ჩერქეზიშვილი (5), ტურაშვილი (8), კობეშავიძე (25), ორმოცაძე (9), შენგელია (25); კორძაძე (2), ბეჟანიშვილი, ბერუაშვილი (3)
თბილისი: გურასპაული (12), სანაძე (5), ქარაბაკი (9), ხელაშვილი (9), დერიუგინი (24), ცაგარეიშვილი (3), კოკოლიშვილი (5), ახვლედიანი, ქორქია (4), შავლიხაშვილი (2)

თბილისი — ვითა 88:76 (40:37)
თბილისი: ცაგარეიშვილი (5), კოკოლიშვილი (4), ქორქია (5), ქარაბაკი (9), დერიუგინი (32); სანაძე (16), ხელაშვილი (5), შავლიხაშვილი (4), გურასპაული
ვითა: ჩერქეზიშვილი (12), ტურაშვილი (10), კობეშავიძე (23), ორმოცაძე (4), შენგელია (16); ჩუბინიძე (4), კორძაძე (5), ბერუაშვილი (2)

ვითა — თბილისი 78:74 (40:44)
ვითა: ჩერქეზიშვილი (2), ტურაშვილი (8), კობეშავიძე (26), ორმოცაძე (11), შენგელია (20); კორძაძე (8), ბერუაშვილი, ჩუბინიძე (3), ბეჟანიშვილი
თბილისი: ცაგარეიშვილი (2), ქორქია, ქარაბაკი (4), ხელაშვილი (20), დერიუგინი (20); კოკოლიშვილი (6), გურასპაული (11), შავლიხაშვილი, სანაძე (6), ახვლედიანი (3)

„სარბიელის“ რჩეულნი

პირველი ხუთეული: დავით თორთლაძე, თორსი; მიხეილ კობეშავიძე, ვითა; რევაზ ჩხეიძე, კაქტუსი; ვახტანგ ნაცვლიშვილი, კაქტუსი, ნიკოლოზ დერიუგინი, თბილისი
მეორე ხუთეული: ნიკო ჩერქეზიშვილი, ვითა; მალხაზ ანდღულაძე, მერანი; ნუგზარ კოკოლიშვილი, თბილისი, არჩილ ხელაშვილი, თბილისი, კახა შენგელია, ვითა

11 ივნისი, სპორტის სასახლე. ამხანაგური მატჩი: საქართველოს ნაკრები — ახალგაზრდული ნაკრები 79:101

სარბიელი

მუდამ ნანატრი ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ხილვა, ბუნებრივია, გამორჩეულად გვსურს.

გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი სპორტის მოყვარულთავის «მესეფი» გულშემატკივრებს შეუქმნის ამ სურვილის განხორციელების ყველა პირობას.

კლუბი ბინას დაიდებს სასტუმრო «აჭარის» მეთვრამეტე სართულზე და გაიხსნება 16 ივნისს. გახსნას დაამშვენებს ფრიად სასიამოვნო და საინტერესო ცერემონიალი – საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის შოთა არველაძის დაჯილდოება, რაც, დაგვეთანხმებით, კლუბის საქმიანობის საინტერესო გეგმებზე მეტყველებს.

მომდევნო დღიდან კი დგება «ჭამი ფეხბურთისა» და კლუბიც ფეხბურთის ქომაგთა განკარგულებაში იქნება – ახალ და უცხოური წარმოების ეკრანებზე შეგეძლებათ თვალი ადევნოთ მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩს, თანაც ისე, რომ არ გქონდეთ დენის გამორთვის შიში – ამის გარანტიაა კლუბის ავტონომიური ენერგომომარაგების სისტემა.

კლუბის წევრებთან ერთად, შესაძლებლობის შემთხვევაში, დასწრება შეეძლებათ ერთჯერადი ბილეთების მფლობელებსაც.

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ

«სარბიელის» რედაქციაში ან დარეკეთ 39-48-29

ტოტალიზატორი

"CROCO"

თამაშის ნესები:

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ტოტალიზატორი იმუშავებს ყოველდღე 15-დან 16 საათამდე – სასტუმრო „აჭარის" ფოიეში

მატჩების მსვლელობისას – კლუბ „მესეფში"

ტოტოლოტო

საფეხბურთო პროგნოზი

სპექტირაში № 1 17-21 ივნისი	
1	გერმანია – ბოლივია
2	ესპანეთი – კორეა
3	კოლუმბია – რუმინეთი
4	აშშ – შვეიცარია
5	იტალია – ირლანდია
6	კამერუნი – შვედეთი
7	ბელგია – მაროკო
8	ნორვეგია – მექსიკა
9	ბრაზილია – რუსეთი
10	ჰოლანდია–საუდის არაბეთი
11	არგენტინა – საბერძნეთი

ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა 16 ივნისი, ხუთშაბათი, 16 საათამდე

სპექტირაში № 2 20-24 ივნისი	
1	ჰოლანდია–საუდის არაბეთი
2	არგენტინა – საბერძნეთი
3	ნიგერია – ბულგარეთი
4	გერმანია – ესპანეთი
5	აშშ – კოლუმბია
6	რუმინეთი – შვეიცარია
7	კორეა – ბოლივია
8	იტალია – ნორვეგია
9	ბრაზილია – კამერუნი
10	შვედეთი – რუსეთი
11	მექსიკა – ირლანდია

ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა 20 ივნისი, ორშაბათი, 16 საათამდე

ერთიანი ბიბლიოთეკა

მოგება — მხოლოდდამხოლოდ ნახევარი მილიონი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით ტოტოლოტო აწყობს ყველაზე შეღავათიან სპექტირაჟებს. თერთმეტივე შედეგის გამოცნობისთვის თითოეული მოთამაშე მიიტანს 500 000 რუსულ მანეთს. ვარიანტის ღირებულებაა 300 მანეთი. კუპონებზე თერთმეტივე შედეგის გამოცნობისთვის მოგების მინიმალური ფონდია 20 000 000 კუპონი. ვარიანტის ღირებულება 5 000 კუპონი.

გთხოვთ თვალი მიადევნოთ ბილეთის ჩაბარების ვადებს. მოგებები გაიცემა ტირაჟის დამთავრების მეორე დღეს. ცნობებისათვის დარეკეთ: 96-32-61

ტურისტული ფირმა „იმედი-92"

გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია. პირველად თბილისიდან პირდაპირი რეისი თბილისი – ამსტერდამი. გასვლა 25 მაისს. ფირმა დაგეხმარებათ მანქანებს შეძენაში. სასწრაფოდ დაგეხმარებით „ბენი-ლუქსის" გახსნაში.

ეგვიპტე (ქაირო-ალექსანდრია) – მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.

საბერძნეთი (სალონიკი) – მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.

ბულგარეთი (ვარნა) – თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის" ტიპის ავტობუსით.

ლიბანი (ბეირუთი) – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

სინგაპური – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩინეთი (ხარბინი) – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

ყურადღება!

იყიდება 4,5,6,7,8,9,10 და მეტ ოთახიანი საცხოვრებელი სახლი-კოტეჯის დამტკიცებული პროექტები საკარმიდამო ნაკვეთებით (ნაკვეთების ფართობი 300-800 კვ. მ.) თბილისში, ვაჯის რაიონში, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა და შშენებარე მეტრო „უნივერსიტეტის" მიმდებარე ტერიტორიაზე. მსურველებმა სასწრაფოდ მიმართეთ შემოქმედებით საწარმოო სახელოსნო „იალნოს".

მისამართი: სასტუმრო „აჭარა" III სართული, ოთახი 312 ტელ. 36-94-12 98-78-40.

იყიდება

მოსკვიჩი 2141, 03-ის ძრავით, 1991 წელს გამოშვებული ბენზინმზიდი ზილ-131, სამხიდიანი, ტევადობა 8 200 ლ.

ტელეფონი 39-36-78

1994-95 სასწავლო წლისათვის თბილისის მე-60 საშუალო სკოლა (9 კლასის ბაზაზე) აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ეკონომიკურ კლასში.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 30, მე-60 საშუალო სკოლა. ტელ. 39-21-78

Unlimited Hot Water

იყიდება

ისრაელის

წარმოების

წყლის

გამაცხელებელი

ATMOR

SUPER-5

(5 კვტ. 220 ვ.)

ფასი 80 $.

ტელ. 39-36-78

საფეხბურთო ჟურნალი

ბოლი

გამოვიდა ჟურნალ „გოლის" მსოფლიოს ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ნომერი, რომლის ყიდვაც შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებსა და „სარბიელის" რედაქციაში

ᲤᲘᲠᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲝᲓᲔᲜ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲚᲐ ᲨᲝᲠᲔᲤᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ)

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ 21 (9) — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 22 (11)

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ — 2Ც (14:11, 21:17), 3 (16:11), 3Თ (3:11, 6:11, 9:11)
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ᲨᲐᲜᲘᲫᲔ (ᲐᲘᲐ); ᲨᲯ. ᲚᲘᲪᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲗᲑ), ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ (ᲐᲨ), ᲐᲚᲐᲜᲘᲐ (ᲗᲑ), ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑ); 6. ᲫᲐᲒᲜᲘᲫᲔ (ᲐᲘᲐ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ) (6. ᲘᲣᲠᲘᲜᲘ (ᲛᲔᲠᲙ; ᲯᲔᲠ ᲓᲠᲝᲑᲘᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲣᲓᲛᲘᲗᲐᲓ)), ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲐᲨ); ᲪᲐᲑᲐᲫᲔ (ᲐᲨ), ᲩᲘᲥᲐᲕᲐ (ᲛᲔᲠᲙ), ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑ); ᲝᲛᲝᲚᲐᲫᲔ (ᲗᲑ), ᲐᲚ. ᲚᲘᲑᲠᲐᲫᲔ (ᲗᲑ), ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ (ᲛᲔᲠᲙ) (ᲮᲣᲐᲓᲔ (ᲗᲑ)), ᲖᲐ. ᲚᲘᲪᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲐᲘᲐ); 3. ᲒᲘᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑ). — 2Ც: ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ (0:11), ᲩᲘᲥᲐᲕᲐ (21:22); 2Შ: ᲫᲐᲒᲜᲘᲫᲔ (0:3, 16:14); 2Ა: ᲫᲐᲒᲜᲘᲫᲔ (0:6), ᲘᲣᲠᲘᲜᲘ (16:17)

საბჭოთა სისტემის წიაღში გამოზრდილ ქართულ სარაგბო საძმოს უკიდურესი პრაგმატიზმი (ანგარიშიანობა) ძველ-რბილში აქვს გამჯდარი. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თუ თამაშის შედეგს ადგილების, თასების ანაც საგზურების გასანაწილებლად მნიშვნელობა აღარა აქვს, ჩვენები ასეთ მატჩებს ან ერთობ უგულოდ, ან სულაც არ თამაშობენ.

ამჯერად გამონაკლისი იყო. მართალია, სიტუაციათა და უზერხემლობით ცნობილმა ფირა-მ შარშან დეკემბერში მორიგი ბრძნული გადაწყვეტილებამიიღო და თავისი ყოველწლიური ჩემპიონატის ჯგუფების მორიგი გადა-ჯგუფების ორწლიანი პროექტი წარმოადგინა, რის გამოც არათუ შვეიცარია — საქართველოს მატჩთან დასრულებულ ტურნირს, არამედ ამა წლის შემოდგომაზე დასაწყებ შეჯიბრსაც აღზევება-ჩამოქვეითების თვალსაზრისით მნიშვნელობა აღარ ექნება, მაგრამ ჩვენმა „შავარდნებმა“ თავი მაინც გამოიდეს და მასპინძელთა „ედელვაისი“ დამარცხეს, რითაც ფირა-ს ჩემპიონატებში პირველი თამაში მოიგეს.

მასპინძლებს ერთობ ახალგაზრდული და ნაპატივები, ოღონდაც ტაქტიკურად ერთობ მიამიტი გუნდი ჰყოლიათ. ეს გასაკვირი არცაა, რაკილა შვეიცარიის რაგბის ფედერაციამ, აქაოდა უპერსპექტივობის გამო თქვენზე ფულის ხარჯვას აზრი არა აქვსო, 1986 წელს დაშალა კაცთა ეროვნული ნაკრები და შარშანწინდლამდე მხოლოდდამხოლოდ მეორე და მესამე მსოფლიო თასების შესარჩევ შეჯიბრებებში სამონაწილეოდ შეკრიბა გუნდი, რაკილა ჩვენებურებისაგან განსხვავებით კარგადუწყოს, რომ რაგბში უმაღლესი პატივი ირბ-ის მსოფლიო თასზე მონაწილეობაა და არა ფირა-ს წყალწყალა პირველობაზე.

მასპინძელთა ასეთი გუნდის ძლევა ჩვენს ნაკრებს, რომელიც ამჯერად მშვენივრად იყო მომზადებული, მაინც საკმაოდ გაუჭირდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ წელს ფირა-ს პირველობის ჩვენთვის შესაფერ დონეზე ვუთამაშებივართ. ჩვენებმა მოედანზე ამჯერად 17 მოთამაშე გაიყვანეს: მათგან რვა „თბილისიდან“ იყო, სამ-სამი კი — ჩემპიონ „აზოტიდან“, ვიცეჩემპიონ „მერკურიდან“ და ლიტერ „აიადან“, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

ჩვენებს თამაში რიხიანად დაუწყიათ. ძაგნიძე თურმე დიდი სტატუტად თამაშობდა ფეხით — თითო საჯარიმო და არეკნი ხომ შეაგდო და გრძელი და გამოზომილი ტაქტიკური დარტყმებით მასპინძლებს გარჯა არაერთგზის ჩაუყარა წყალში. უკანა ხაზი არანაკლებ ძლიერად უთამაშია შამარ ჩიქვინიძეს, ვინც სისტემატურად არღვევდა მეტოქის დაცვის ხაზს — პირველი ლელოც მისი სოლო რეიდის შემდეგ გასულა.

მერე მომხდარა უსიამო რამ: კაპიტანს ანგარიშის მშვიდად შენარჩუნება სდომია, ჯეელ ვარსკვლავებს კი — კვლავაც შეტევა. ჰოდა, ჩვენებს ერთერთისათვის ცხვირის აბზუება და მაგარ-მაგარი სიტყვების თქმა დაუწყიათ. მონსტერი არეულა და შვეიცარიას ზედიზედ მოუზვეჭია 16 ქულა, ლელო კი კონტრშეტევით გუტანია.

გადაკრჩენივართ „ბეიერუთ“ იურინს, რომელიც მოედანზე სულ მცირე ხნით პირველად მაშინ შესულა, ძაგნიძისთვის სისხლი რომ უდენიათ. იურინს დერეფნიდან მიღებული ბურთი არეკნით გაუტანია და ისევ დაკეწინაურებივართ. მერე კაპიტანი ჩვენებს მუდმივადაც შეუცლიათ.

ამასობაში მასპინძლებს ძალისმიერი ლელო გაუტანიათ — ჩვენების ლელოსთან დანიშნულ შერკინებაში ერთბაშად ათი კაცი ჩაყენებიათ და ქართველებისთვის უკან დაუზევნებიათ. ამ დროს თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, ჩვენი ბიჭები კი ოთხი ქულით აგებდნენ. მეტოქის ლელოსთან საჯარიმო დანიშნულა. აქ უმარჯვნია ხუციშვილს და ვიდრე ჩვენები კარში დარტყმას დააპირებდნენ, ბურთი სასწრაფოდ გუთამაშებია, რაც აგრეთვე მშვენივრად მოთამაშე ჩიქავას ლელოთი დასრულებულა.

ჩვენება საბოლოოდ დაწინაურებულან. დარჩენილ დროში დიდ და უკვე ვეტერან 8 ნომერ გიუნაშვილს სპ. ლიპარტელიანისთვის ლელო გაუტანნებია, მაგრამ ფრანგ მსაჯს ჩვენებისთვის შარი მოუდვია, ლელოში შესულებმა ბურთი ერთმანეთს წინ მიაწოდეთო.

ასე იყო თუ ისე, სტუმრებისათვის ყველაფერი კეთილადდასრულებულა: გუნდმა 8 ივნისს შინ მშვიდობით ჩამოაღწია.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ორგზის გვასახელეს ქართველმა მორაგბეებმა. შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ კაცთა ეროვნული ნაკრები ახალი მწვრთნელის, ჟუთაისელი დუგლას კავთელაშვილის მეთაურობით ერთობ მომძლავრდა, რაც შორეულ შოდეფონშიც გამეჟღავნდა, სადაც „დუგლასის ბიჭებმა“ ბოგანნი ქვეყნების სარაგბო გაერთიანების — ᲤᲘᲠᲐ-ს ბირველობის მეოთხე ჯგუფის ერთ-ერთი ქვეჯგუფის ბოლო მატჩში ერთი ქულით დამარცხეს მასპინძელი — შვეიცარიის ნაკრები. რადგანაც ქართული და ლატვიური რაგბის მამები შარშან ნაშლილი თამაშის გამართვის ახალ ვადაზე ვერ მორიგდნენ, რის გამოც გადადების მოთავე ლატვიელებს უთუოდ ჭაგუა მიესჯებათ, საქართველო თავისს ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავა, მაგრამ გაისად თუ ვის კომპანიაში ასპარეზებს, ეს შოდეფონის მატჩის დღესვე სპილოს ძვლის ნაპირზე, ᲤᲘᲠᲐ-ს ყრილობაზე გაირკვევა, იქ კი ჩვენი დელეგატის შივლენა, ვაი, რომ ვერ მოხერხდა.

ეროვნულ ნაკრებს არ ჩაშორჩა ჟუთაისის „ერქვანი“, რომელიც ბოლო წლის მანძილზე აგერ უკვე მეორედ გადავიდა ლიგის რაგბში. თავად ერქვანელთა ცნობით მათ ახლახანს გაუმარჯვიათ სსრკ-ისა (?!) თუ დსთ-ის ღია პირველობაში, რაც, უეჭველია, სრულიად ქართული რაგბის მორიგ დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ, რაკი ერთი-ათად დასაფასებელია, როცა ახალბედა, ვინც სპორტის მონათესავე სახეობას ერთი წელიც არაა, რაც ზიარებია, პანგა-პუნტით ამარცხებს ამ სახეობაში ჭიპმოკრილ და გამობრძმედილ რუს მეტოქეებს. „ერქვანის“ მწვრთნელის — რამაზ ხვანძის შეგირდების წარმატება ქართული რაგბის ამოუწურავი ბოტენციის კიდევ ერთი დასტურია, ვინაიდან ჩვეულებრივ რაგბში „ერქვანი“ ერთი ჩვეულებრივი გუნდი ყოფილა. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ სახელს მოიხვეჭდა, ვთქვათ და ჩვენი ეროვნული ნაკრები, „ერქვანის“ ნაცვლად იგი რომ გადასულიყო ლიგის რაგბში. ან იქნებ რუსები დაჩაჩანაკებულან რაგბის ორივე ნაირსახეობაში?!

ისე კი, არა გვგონია, რომ ქართული სარაგბო საძმოს ორად გახლეჩამ ჩვენში სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის განვითარებას ხეირი მოუტანოს, რადგანაც ლიგა მთელს მსოფლიოში რაგბის მოუშორებელ ჭირად აღიქმება. ნუთუ ჩვენში მოხერხდება ამ ორი თამაშის მშვიდობიანი თანაარსებობა?!

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

(V თამაში) სამ, 31.V. კიმბერლი. სამხრეთი აფრიკა „ა“ 19 (3) (2Ც: სკულეი, სტრანსკი; 2Შ, Ა: სტრანსკი) — ინგლისი 16 (10) (Ც: პოპლი; გ, 3Შ: კალარდი)

(VI) პირველი ტესტი. შაბ, 4.VI. პრეტორია, ლოფტუს ვერსფელდი. 55 ათასი მაყურებელი. სამხრეთი აფრიკა 15 (6) (5Შ: ჯუბერი) — ინგლისი 32 (23) (2Ც: რიჩბერი, ემლრიუ; 2გ, 5Შ, Ა: ენდრიუ). მსაჯი პოჭი (ახალი ზელანდია)

(VII) სამ, 7.VI. პორტ-ელიზაბეთი. აღმოსავლეთი კონცხი 13 (10) — ინგლისი 31 (13) (3Ც: ბეითსი, ჰალი - 2; 2გ: კეტი; 4Შ: კალარდი - 2, კეტი - 2)

(VIII) მეორე ტესტი. შაბ, 11.VI. კეიპტაუნი, ნიულენდზი. სამხრეთი აფრიკა 27 (3) (2ᲪᲡ: ჯ. ლერუ, ჯუბერი; გ: ჯუბერი; 5Შ: ჯ. ლერუ - 3, ჯუბერი - 2) — ინგლისი 9 (3) (3Შ: ენდრიუ)

ტურნეს შედეგი: თ 8, მ 3, ნ 5, ბ 152:165; ტესტ-სერია 1-1, ბ 41:42, Ც 2-2

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ

(V) ოთხ, 1.VI. მაუნთ-აისა (ჩრდ. ქვინსლენდი). ავსტრალიის მეორე ნაკრები 57 (9ᲪᲡ: კეჩპოული - 3,..) — ირლანდია 9

(VI) პირველი ტესტი. კვი, 5.VI. ბრისბენი, ბალიმორი. ავსტრალია 33 (13) (5ᲪᲡ: ტაბუა, ლაინაფი, კემპბელი, ბერკი, სმითი; გ, 2Შ: ლაინაფი) — ირლანდია 13 (3) (ᲪᲡ: ჯონსი; გ: ელვუდი; 2Შ: ელვუდი, ოშეი)

(VII) ოთხ, 8.VI. ლისმორი. ახალი სამხრეთი უელსის პროვინციები 18 (10) (3ᲪᲡ, 1Შ) — ირლანდია 20 (17) (ᲪᲡ: სტეიპლზი; 5Შ: მაკგავერნი). მასპინძლებმა 8 დარტყმა გაატარეს, სტუმრებმა კი ბოლო გოლი ბოლო ნუთზე თავიანთი ნახევრიდან შეაგდეს

(VIII) მეორე ტესტი. შაბ, 11.VI. სიდნეი, საბურთაო სტადიონი. ავსტრალია 32 (21) (3ᲪᲡ: პერბერტი, ვილსონი, ტაბუა; გ, 5Შ: ლაინაფი) — ირლანდია 18 (13) (2ᲪᲡ: კლოპესი, ფრენსისი; გ, 5, Ა: ოშეი). ლაინაფს ტესტებში 813 ქულა მოუგროვდა

ტურნეს შედეგი: თ 8, მ 2, ნ 6, ბ 177:254; ტესტ-სერია 0-2, ბ 31:65, Ც 3-8

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

(III) სამ, 31.V. კორდოვა 14 — შოტლანდია 40 (6ᲪᲡ)

(IV) პირველი ტესტი. შაბ, 4.VI. ბუენოს-აირესი, ფერროკარილ ოესტე. არგენტინა 16 (ᲪᲡ: ტერანი; გ, 3Შ: მესონი) — შოტლანდია 15 (5Შ: მ. დოდსი)

(V) სამ, 7.VI. როსარიო 27 (15) (2ᲪᲡ: 3Ა: დელკასტიო) — შოტლანდია 16 (6) (2ᲪᲡ, 2Შ)

(VI) მეორე ტესტი. შაბ, 11.VI. ბუენოს-აირესი, ფერროკარილ ოესტე. არგენტინა 19 — შოტლანდია 17. შოტლანდიამ ბოლო ნუთზე საჯარიმო გააფუჭა

ტურნეს შედეგი: თ 6, მ 1, ფ 1, ნ 4, ბ 123:125; ტესტ-სერია 0-2, ბ 32:35

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ

(I) ოთხ, 1.VI. დარვინი. ჩრდ. ტერიტორიის წეულნი 6 — იტალია 37. გააძევეს იტალიის ბურჯი პროპერეი

(II) შაბ, 4.VI. ადელაიდა. სამხრეთი ავსტრალია 12 — იტალია 60

(III) ოთხ, 8.VI. ჩრდ. სიდნეის ოვალი. სიდნეის ნაკრები 26 — იტალია 36

(IV) კვი, 12.VI. ბრისბენი, ბალიმორი. ქვინსლენდი (უკოლაბებოდ) 19 — იტალია 21

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

(I) ოთხ, 1.VI. ტორონტო. კანადა „ა“ 31 (18) — საფრანგეთი 34 (10) (4ᲪᲡ, 3გ, 4Შ)

(II) ტესტი. შაბ, 4.VI. ოტავა. კანადა 18 — საფრანგეთი 16. გააძევეს კანადელი ჭარდინალი და ფრანგი სელა

(III) ხუთ, 9.VI. ვინნიპეგი. ჩრდ. ოკლენდი 23 (ᲪᲡ) — საფრანგეთი 28 (3ᲪᲡ)

პირველი ტესტი: 26.VI ქრაისთჩერჩში

ᲤᲘᲯᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

(V) ოთხ, 1.VI. ლიკინი. ჰოროკენუა 25 — ფიჯი 45

(VI) „ტესტი“. შაბ, 4.VI. ქრაისთჩერჩი. მაორები 34 — ფიჯი 13

ტურნეს შედეგი: თ 6, მ 3, ნ 3, ბ 186:128

ᲣᲔᲚᲡᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲗᲘᲡᲠᲘᲗᲘᲗᲘ

(I) ოთხ, 8.VI. პემილტონი (ონტარიო). კანადა „ა“ 19 — უელსი 28

(II) ტესტი. შაბ, 11.VI. ტორონტო. კანადა 15 — უელსი 33

ᲓᲘᲐᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐᲨᲘ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეებში, რეალ „ოლიმპიის“ კორტებზე ცარე ბრძოლები მიმდინარეობდა, არც თბილისში ყოფილან ჩოგბურთის მოყვარულები გულხელდაკრეფილნი.

კორპორაცია „სისტემა ფორტემ“ „დინამოს“ კორტებზე მოაწყო ტურნირი დიპლომატიური ასოციაციის პრიზზე. შეჯიბრებაში ჩაბნენ საქართველოში უცხოეთის წარმომადგენლობათა და საელჩოების თანამშრომლები, მათ შორის რუსეთის ელჩი ვლადიმერ ზემსკი მეუღლითურთ.

15 მონაწილე თავიდან ოთხ ქვეჯგუფში ასპარეზობდა. გამარჯვებულებმა გააგრძელეს ბრძოლა ცნობილი მოქანდაკის გია ჯაფარიძის მიერ დამზადებული ლამაზი პრიზის მოსაპოვებლად.

ნახევარფინალებში ევროკავშირის უფროსმა მრჩველმა სოცუზრუნველყოფის საკითხებში, ირლანდიელმა პიტერ ფიცპატრიკმა სძლია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსს ვალერი ჩიჩლაშვილს — 7:6, 6:4; ხოლო ჩოგბურთის კლუბ „რაშის“ პრეზიდენტმა მირიან ანდრიაძე — რუსეთის საელჩოს ატაშეს ალექსანდრე სპორიხინს — 6:3, 6:2.

ფინალურ შეხვედრაში აშკარა იყო 40 წლის ფიცპატრიკის უპირატესობა, რომელიც მოყვარულის ტალღობაზე მშვენიერ ტექნიკას ფლობს — 6:1, 6:4.

ტურნირის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ ოქტომბერში უფრო ხალხმრავალი შეჯიბრების მოწყობა სოლიდური ფონდით და აპირებენ უცხოეთიდან დიპკორპუსის თანამშრომელ-ჩოგბურთელების მოწვევას.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

●

ათი-თორმეტი წლის ჩოგბურთელთა ტურნირების მეტი რა გვინახავს, მაგრამ ეს მართლა გამორჩეული იყო. მიზეზი თაოსანთა ვინაობა გახლდათ — უკვე ორი წელია, რაც ჩვენშიც დფუძნებულ-ამოქმედებულა ახალგაზრდობის ქრისტიანული ასოციაცია, რომელმაც ახლახან თბილისელ მოზარდ ჩოგბურთელებს „ბიუერის“ კორტებზე შეჯიბრებაც მოუწყო. ტურნირის გახსნას სპატეო ამერიკელი სტუმრებიც დესწრნენ — ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი ფრედ ბრედლი და ვიცე-პრეზიდენტი რენდი ბრაუნი. ასოციაციას ეფუძნოწყვეტია, ხელი შეუწყოს ქართველი ახალგაზრდების გაჯანსაღების საქმეს და სამხოდ „ბიუერში“ კეტბურთის, ფეხბურთის მოედნების მოწყობა და, საერთოდ, აქაურობის დიდ სპორტულ ცენტრად გადაქცევა ხურს.

ერთეულთა თანრიგში ყველას აჯობა ანდრო. თოლორაიამ, წყვლებში — თოლორაია-ბაქრაძის დუეტმა.

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲖᲛᲘ

ᲛᲐᲙᲘᲜᲚᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲠᲔᲓᲐ

კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა და ჰიმალაის მთების დამლაშქრავი თბილისელი მთამსვლელი გია თორთლაძე ახლა ჩრდილოეთ ამერიკის კორდილიერების უმაღლეს მწვერვალ მაკინლიზეც (6194 მ) ასულა. მან ამ წარმატებას რვა ეკატერინბურგელ ირკუტსკელ მთამსვლელთან ერთად მიაღწია. ეს მოხდა 22 მაისს. ისინი მწვერვალზე კლასიკური მარშრუტით ავიდნენ.

ალპინისტთა შორის ფრიად პოპულარული მაკინლი უკიდურესი ჩრდილოეთით, ალიასკაზე მდებარობს. ამიტომ აქ მუდამ დიდი ყინვა და ძლიერი ქარია. ყველაზე თბილი დღე აქ 1945 წელს აღუნიშნავთ — ყინვა იმ დღეს 13 გრადუსზე მეტი არ ყოფილა. ასეთი მკაცრი კლიმატური პირობების გამო მაკინლი რთულად დასაძლევ მწვერვალად ითვლება. 70-იან წლებამდე მის უმაღლეს წერტილს 40-მდე მთამსვლელმა მიაღწია, 30-მდე კი დაღუპა. ამის მერე მაკინლიზე ბევრი თამამსვლელი ავიდა. მათ ათზე მეტი მარშრუტი გაკვალეს, თუმცა გია თორთლაძის თქმით, ისინი კლასიკურისაგან სირთულით დიდად არ განსხვავდებიან.

— მაკინლი რომ მეტად მკაცრი, პირქუში და სახიფათო მწვერვალია, ეს სხვადასხვა ალპინისტური ლიტერატურიდან ვიცოდი. საკუთარი თვალით ნანახმა დამარწმუნა, რომ ამ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია. მწვერვალზე ასვლას — იხსენებს გია თორთლაძე — ჩვენთან ერთად საერთაშორისო ექსპედიციების 450 წევრი ცდილობდა, მაგრამ მაკინლიზე მხოლოდ ჩვენ, ცხრანი ავედით ეკატერინბურგელ სერგეი ეფიმოვის მეთაურობით.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ. ᲯᲘᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲜᲓᲠᲘᲣᲛ ᲒᲐᲐᲤᲮᲘᲚᲐ ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲐ

უზვირო დასაწყისის შემდეგ პოსტ-აპარტეიდულ სამხრეთ აფრიკაში მოგზაური ინგლისი თანდათან მოვდა თამაშისა და ჩხუბის იშტაზე. აყალმაყალიანი გამოვიდა კვირების შუაში გამართული ორივე თამაში. კიმბერლიში ორი ლაზათიანი შუშტიკრიკი გაიმართა, პორტ-ელიზაბეთში — ერთი, მაგრამ ისეთი, რომ ორნი — ინგლისელი როდბერი და მასპინძელთა ახალზელანდიელი მორკინალი ტენიეინი მოედნიდან გააძევეს. როდბერი ამჯერად შეიქნა პირველი ინგლისელი, ვისაც საერთაშორისო შეხვედრაში მოედნიდან გაძევების პატივი ბოლო 19 წლის მანძილზე ხვდა წილად.

პრეტორიის „ლოფტუს ვერსფელდის“ ტესტი ღამის იყო პოლიტიკურ შოუდ იქცა. თამაშის წინ ხმა დაირხა, მასპინძელთა ნაკრებს „ჭურიკეკების“ ნაცვლად მაღე სხვა სახელი დაერქმევაო, მაგრამ მერე გამოცხადდა, მანდელას მოწყალება გაუღია და რაგბის გუნდს არას ერჩისო.

მანდელა და აწ უკვე მისი მეორე მოადგილე (!) დეკლერკი სტადიონზე მიბრძანდნენ, რამაც მატჩის დაწყება ოცი წუთით დაგვიანა. ყველა რასის წარმომადგენელი ასი ბიჭი აფრიკელ ჰანგზე როკავდა, ერთმა ამდენმა ყმაწვილმა კი ქვეყნის ახალი, ჭრელ-ჭრელა ბაირაღებით თალი შეადგინა და სპატიო სტუმრები შიგ გააძვრინა. შესრულდა ქვეყნის ახალი ჰიმნი, მერე კი მანდელა სათითაოდ მიესალმა ყველა მოთამაშეს, რომელთაგანაც არაერთი ქათინაური მოიხმინა და არც თავად დარჩენილა ვალში.

ათი წლის წინ მასპინძლებმა სტუმარ ინგლისს 35:15 მოუგეს, ახლა კი 15:32 წააგეს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რვაწლიან იზოლაციას სათთვის საგრძნობლად უვნია. „ჭურიკეკები“, პროვინციული გუნდებისგან განსხვავებით, ერთობ შეუთამაშებელი ჩანდნენ. ტყუილად რიდი ნიოდა მწვრთნელი მაკინტოში, აქაო და იმის ნაცვლად, რომ შემრჩეველთა მეთაურმა მარუმ მსოფლიო ღონის 21 მოთამაშე შემიკრიბოს დასამოძღვრად, ტურნეს წინ ერთბაშად 57 მორაგბის სია მაახლაო. ასეა თუ ისე, მსოფლიო თასამდე 11 თვეა რჩება, მასპინძლებს კი ჯერაც ვერ დაუდგენიათ გუნდის ბირთვი.

მატჩის შედეგი დიდად განაპირობა საწყისმა 20 წუთმა, რომლის ბოლოსთვისაც ინგლისი 20:0 დაწინაურდა. ენდრიუმ ორი საჯარიმო შეაგდო და ორივე ლელო გარდასახა. პირველი მათგანი როდბერმა გაიტანა ტ. ანდერვუდის გარღვევის შემდეგ ისე, რომ ოთხი ჩამოკიდებული მეტოქე ლელოში შეეყოლა. მეორე ლელო ენდრიუს ანგარიშზეა — მან აბრაგანი დარტყა და მეტოქის ლელოსთან ბურთი თავადვე დაიჭირა.

მეორე ნახევარში „ჭურიკეკები“ აფაფხურდნენ, მაგრამ ისეა შეძლეს, რომ ჟუბერის გოლებით ერთი პირობა 11 ქულით (15:26) ჩამორჩებოდნენ. ენდრიუმ ეროვნული რეკორდი გაუმჯობესა: ბურთის ოთხივე ყაიდაზე გატანით 27 ქულა მოაგროვა, რაც ჯუბის 1991 წლისეულ მიღწევას სამთა სჯობს. ჯუბმა რეკორდი იტალიასთან დამყარა, ენდრიუმ — სამხრეთ აფრიკასთან, ამათი შედარება კი ამის მიღწევას მნიშვნელობას ბევრად პმატებს.

მარცხმა მასპინძლები ერთობ შეაფუცხუნა. მათ შერკინების ნახევარი და ნახევარმეცელი შეცვალეს მეორე. „ნიულენდზის“ ტესტისათვის. ახლებმა გაუმართლეს მაკინტოშს, მეტადრე რიხტერმა, მაკდონალდმა და რუმ. ამანა და ჯ. ლერუმ აბრაგანებით გატანეს ინგლისელები.

თამაშში „ჭურიკეკების“ დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბურთი ერთთავად მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ სალელე და საგოლე შანსებს ხელიდან უშვებდნენ. მერე სად იყო და სად არა, ენდრიუმ საჯარიმო შეუგდოთ, მაგრამ თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე სამხრეთი აფრიკა უკვე 12 (4ᲚᲡ) : 3 (ᲚᲡ) იუბდა.

მეორე ნახევარში „ჭურიკეკებს“ ზურგქარიც გვარიანად წაუბმართ. მოუხედავად ამისა, 67-ე წუთისთვის ენდრიუმ კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო, ამათგან მეორე პირქარში, შუა ხაზის გამოღმიდან გაიტანა — 9:12. დარჩენილ დროში სამართალმა პარიტეტამ. „ჭურიკეკების“ მესამე ხაზის შერკინებისშემდგომი იერიში პირველი ლელოთი დასრულდა, 77-ე წუთზე კი ჟუბერის გოლის შემდეგ ანგარიში 20:9 გახდა. აქ ინგლისელები ვაკოფდნენ, მეტოქის ლელოს მიაწყდნენ, მაგრამ მრავალი შესაძლებლობა გაფლანგეს, ბოლოს კი კონტრიერიშზეც წამოეგნენ.

მანდელა ამ ტესტს არ დასწრებია, დეკლერკმა კი გაიხარა. განახლებულმა ქვეყანამაც მსოფლიოს დანახა ერთიანობა და ძალა, რასაც ვერა დაკლო რა ვერც ბოლოსწინა მატჩში ზოგ-ზოგთა სასტიკად ცემამ და ვერც გაზეთების მიერ ატეხილმა ხმაურმა, აქაოდა სამხრეთაფრიკელ რაგბში დიდძალი ფული ტრიალებსო — თითქოს აქამდე არ იცოდნენ!

„ჭურიკეკები“ მაღე ახალ ზელანდიას ეწვევიან, სადაც 13 თამაში, მათ შორის — სამი ტესტი ელით.

ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ (/ მეორე ტესტში): სამხრეთ აფრიკა — ჟუბერი; სმოლი, ფენტერი / (ჯ. ვანდერვესტპოიზენი), მულერი, ვილიამში / (კლაასენი); ჯ. ლერუ, ი. ვანდერვესტპოიზენი / ი. რუ; სვორტი, ალანი, ო. ლერუ / ი. ლერუ; პინარი (კაპ), სტრაიდომი / ენდრიუზი, აფერტონი, ფ. ვანპიერდენი / მაკდონალდი (ვანპიერდენი); სტრაუსი / რიხტერი. ინგლისი — ჰალი; ტ. ანდერვუდი, კარლინგი (კაპ), დეგლენვილი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, მორლი; ლენარდი, მური, უბოგუ; კლარკი / ოჯომო, ბეიფილდი, რედმანი, როდბერი; რიჩარდსი (ოჯომო) / კლარკი

ᲖᲐᲐᲚ ᲑᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჩოგბურთი

ROLAND GARROS

საფრანგეთის ღია ჩემპიონატში იმდენი მოულოდნელობა მოხდა, ნამდვილად ეყოფოდა რამდენიმე ტურნირს. მაგრამ სენსაციაც არის და სენსაციაც უმთავრესი გაწდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის შტეფი გრაფის მარცხი 19 წლის ფრანგ მარი პირსთან ნახევარფინალურ შეხვედრაში.

კანადაში დაბადებულმა, მაშით ამერიკელმა, დედით კი ფრანგმა სიმპათიურმა ქალმა მშობლიურ კორტებზე აშკარად დაჯაბნა მრავალსაცადი გერმანელი, ვისაც მთელ მატჩის მანძილზე დილეტანტისთვისაც შეუფერებელი შეცდომები მოსდიოდა. „დიდი სლემის“ ტურნირებში გრაფი უკანასკნელად წელიწადნახევრის წინ, შარშან 31 იანვარს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა თავის უპირველეს მეტოქესთან მონიკა სელეშთან — 6:4, 3:6, 2:6. მას აქეთ შტეფიმ „სლემის“ ოთხივე ტურნირი მოიგო და 33 წაუგებელმატჩიანი სერიაც ჩაატარა.

არანტა სანჩეს-ვიკარიო
ესპანეთი

დაიბადა 1971 წლის 18 დეკემბერს ბარსელონაში. ცხოვრობს ანდორაში. სიმაღლე 169 სმ, წონა 56 კგ. მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში მეორე ადგილზეა. მოგებული აქვს „დიდი სლემის“ ორი ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (1989, 1994).

ესპანელთა ფრანგული ბენეფისი

ამჯერად კი, „როლან გაროსის“ მიწის კორტების სამეფოს ჩემპიონმა თავის ბრწყინვალე კარიერაში ლამის ყველაზე მწარე მარცხი იწვნია მხოლოდ მე-12 რეიტინგის მქონე ტანმაღალი (180 სმ) ფრანგისგან — 2:6, 2:6. მეორე სეტში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული, წვიმის გამო ორთაბრძოლა კარგა ხნით შეწყდა, მაგრამ წასაგებად განწირულ გერმანელს ამ სულისმოსათქმელმა შესვენებამაც ვერაფერი არგო. პირსმა კი დიდი გმირობა ჩაიდინა და თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაც იზეიმა.

გადამწყვეტ შეხვედრაში გრაფის მძლეველ პირსს მეტოქედ უძლიერესთა კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე მდგომი 22 წლის ესპანელი არანტა სანჩესი ერგო, რომელმაც 5 წლის წინათ უკვე იგემა „როლან გაროსზე“ ჩემპიონობა და არც ამჯერად მალავდა პატივმოყვარულ მიზნებს, მით უფრო ფავორიტის მარცხის შემდეგ ორთაბრძოლა ასეთი დონის ფინალის შესატყვისი გამოდგა. კვლავ ჩინებულად ითამაშა პირსმა, რომლის ძალისმიერმა, ზუსტმა და ეფექტურმა შეტევებმა აღტაცებაში მოიყვანა ცენტრალურ კორტზე მის საქმაგოდ მოსული 13 ათასი მაყურებელი. მაგრამ ანდორაში მცხოვრებმა ბარსელონელმა მეტოქეზე ოდნავ უკეთ, ოდნავ უფრო ზუსტად ჩაატარა ფინალი და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა, თუმცა კი დიდი ჯაფის ფასად, და არა იხე იოლად, როგორც უწინასწარმეტყველებდნენ — 6:4, 6:4.

გეგმაში არ იყოს, პარიზში არც კაცთა შორის პირველ ნომერს პეტ სამპრასს გაუმართლა. საერთოდ, მიწის შედარებით ნელი კორტები ბალახის ან სინთეტიკური საფარისაგან განსხვავებით, 22 წლის ამერიკელისთვის ჯერაც აქილევსის ქუსლად ითვლება. „როლან გაროსზე“ მას ნახევარფინალამდეც კი არ მიუღწევია. ამჯერადაც სწორედ მეოთხეფინალი აღმოჩნდა მისთვის დაუძლეველი ზღუდე თანამემამულე ჯიმ კურიეს (7) სახით, რომელმაც 23 წლის ასაკში უკვე ორჯერ მოახერხა საფრანგეთის ჩემპიონობა. ფლორიდელი „ტყის მჭრელის“ ძალისმიერმა თამაშმა სამსაათნახევარში აჯობა მოწინააღმდეგის ელეგანტურ, უფრო დახვეწილ მანერას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ურთიერთშეხვედრების ბალანსი აშკარად სამპრასის მხარესაა — 10:2.

მაგრამ ფინალამდე ჯერ კურიემ მიაღწია — იგი შარშანდელივით ესპანელმა სერხი ბრუგერამ (6) იმსხვერპლა. ამერიკელის ფიზიკურ ძალას ათლეტური აღნაგობის (188 სმ) ბარსელონელმა არანაკლებ ჯანიანი თამაში და უზუსტესად გათვლილი დარტყმები დაუპირისპირა.

თუ შარშანდელი ჩემპიონის ბრუგერას ფინალში გასვლა კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს, იქ მეორე ესპანელის ალბერტო ბერასატეგის (24) გაძლომა ტურნირის კიდევ ერთი დიდი მოულოდნელობა იყო. 21 წლის ბიჭბაიელმა არად ჩაგდო ავტორიტეტები და ერთიმეორის მიყოლებით ზეიდან ჩამოიცილა სამხრეთფრიკელი ვეინ ფერეირა (20), მასპინძელთაგანი სედრიკ პიოლინი (14), რუსი ევგენი კაფელნიკოვი (21), ხორვატი გორან ივანიშევიჩი (5) და შვედი მაგნუს ლარსონი (29).

ფინალი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნაკლებად საინტერესო გამოდგა — ერთნაირ სტილში მოთამაშე თანამემამულეთა ორთაბრძოლა სულ რაღაც 2 საათსა და 17 წუთში უფრო ტექნიკურმა და გამოცდილმა ბრუგერამ მოიგო და ხელმეორედ დაპატრონა 10-კილოგრამიან ვერცხლის ლამაზ თასს.

ამგვარად, საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატი (ტარდება 1925 წლიდან) ესპანელთა ფანტასტიკური ტრიუმფით აღინიშნა. ხუმრობა ხომ არაა, ოთხი ფინალისტიდან სამი სწორედ იქიდან იყო, რაც არნახული მიღწევაა. მითუმეტეს, დღემდე დუბლი არასდროს გაუკეთებიათ, ის კი არადა, „დიდი სლემის“ ტურნირებში სანჩეს — ბრუგერას მოგებებამდე ესპანელთა ანგარიშზე სულ სამი გამარჯვება იყო 63 წლის განმავლობაში.

ჩემპიონატის შემდეგ ბრუგერა კლასიფიკაციაში შარშანდელივით მეოთხე საფეხურამდე აღზევდა, ბერასატეგიმ კი მხოლოდ ოცეულში შესვლა არ იკმარა და ერთბაშად მე-14 ადგილამდე აინაცვლა.

გია ახალაძე

მეოთხეფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — ინეს გოროჩატეგი (არგენტინა) 6:4, 6:1; არანტა სანჩესი (ესპანეთი) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:1, 7:6; კოჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — საბინა პაკი (გერმანია) 2:6, 6:0, 6:2; მარი პირსი (საფრანგეთი) — პეტრა რიტერი (ავსტრია) 6:0, 6:2; ჯიმ კურიე (აშშ) — პიტ სამპრასი (აშშ) 6:4, 5:7, 6:4, 6:4; სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:3, 6:2, 7:5; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:3, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — პეტრიკ დრიკმანი (გერმანია) 3:6, 6:7, 7:6, 6:0, 6:1.
ნახევარფინალი: სანჩესი — მარტინესი 6:3, 6:1; პირსი — გრაფი 6:2, 6:2; ბრუგერა — კურიე 6:4, 5:7, 6:3, 6:3; ბერასატეგი — ლარსონი 6:3, 6:4, 6:1.
ფინალი: სანჩესი — პირსი 6:4, 6:4 (1 სთ. და 54 წთ); ბრუგერა — ბერასატეგი 6:3, 7:5, 2:6, 6:1 (2 სთ. და 17 წთ).

სერხი ბრუგერა
ესპანეთი

დაიბადა 1971 წლის 16 იანვარს ბარსელონაში
სიმაღლე 188 სმ, წონა 76 კგ
მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზეა ' მოგებული აქვს „დიდი სლემის“ ორი ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (1993, 1994).

ფორმულა 1

ასე თუ გაგრძელდა...

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა-1 ავტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატმა ევროპის ბედკრული ტრასებიდან, რომლებმაც ორი პილოტის სიცოცხლე შეიწირა, ორიც კი სასწაულად გადარჩა დაღუპვას, ჩრდილო ამერიკაში გადაინაცვლა.

კანადის „დიდი პრიზის“ გათამაშება 1967 წლიდან იმართებოდა მონაცვლეობით ხან ტორონტოს, ხანაც კებეკის ტრასებზე, 1978 წლის შემდეგ კი მონრეალის გარეუბანში, წმინდა ლავრენტის მდინარეში ხელოვნურ კუნძულზე აგებულ ავტოდრომზე დაბინავდა საბოლოოდ.

მონრეალის ტრასაზე პირველი რბოლა კანადელმა ჟილ ვილნევმა („ფერარი“) მოიგო, შარშანდელი კი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ფრანგმა ალენ პროსტმა („უილიამსი“). აღსანიშნავია, რომ ეს ავტოდრომი 1982 წელს ბელგიაში დაღუპული ვილნევის სახელს ატარებს.

კანადაში გამარჯვებათა რეკორდსმენია ბრაზილიელი ნელსონ პიკე, რომელიც სამჯერ (1982, 84, 91) დაეპატრონა იქაურ „გრან-პრის“. ორ-ორი მოგება აქვთ ბელგიელ ჯეკი იქსს, ბრიტანელ ჯეკი სტიუარტს, ავსტრალიელ ალან ჯონსსა და ბრაზილიელ აირტონ სენას.

წლევანდელ რბოლაში ფავორიტად ითვლებოდა ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი, რომლის „ბენეტონმა“ კვალიფიკაცია ამჯერადაც დამაჯერებლად მოიგო და ზედიზედ მესამედ დაიკავა სტარტზე პირველი პოზიცია. მის უკან განლაგდნენ ფერარელები ჟან ალეზი და გერჰარდ ბერგერი, რაც რეკონსტრუირებული „ფერარის“ მაღალ პოტენციაზე მეტყველებს. მომდევნო ორი ადგილი „უილიამსებს“ ეკავათ. მაგრამ თუკი შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის დეიმონ ჰილის მეოთხეობა წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს, აირტონ სენას შემცვლელის, შოტლანდიელი დენიელ კულტჰარდის ხუთეულში მოხვედრა დიდი მოულოდნელობა იყო.

შუმახერი სტარტიდანვე დაწინაურდა და თითქმის ორსაათიანი რბოლის მანძილზე არავის მისცა გასწრების საშუალება. საერთოდ, ამ წელ ტრასაზე (სიჩქარის რეკორდი „მხოლოდ“ 195,7 კმ სთ-ია და სწორედ შუმახერს ეკუთვნის) კვირას საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა.

მე-14 წრეზე ჰილმა ადგილად აუარა უკვე ბერგერს და თანდათან ალეზისაც წამოეპარა. შუა დისტანციაზე ბოქსებში ყველასთვის აუცილებელი პროცედურის გავლის შემდეგ ბრიტანელმა პილოტმა ალეზისაც გადასწრო და საბოლოოდ პოდიუმზე პრიზიორები ამავე თანმიმდევრობით განლაგდნენ. ალეზიმ მესამე ადგილით საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარი უძღვნა — წინა დღეს მას 30 წელი შეესრულდა.

ამ ცოტა არ იყოს მოსაწყენ რბოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა დენიუტანტ კულტჰარდის მეხუთე ადგილი — 23 წლის ყოფილმა ტესტ-პილოტმა ბოლომდე ჩინებულად იასპარეზა და პირველი ქულებიც დაიმსახურა.

მორიგი „ჩავარდნა“ შეემთხვა „მაკლარენს“, რომელსაც ვერაფერი არგო წლეულს „ფორდის“ ძრავის „პეჟოთი“ შეცვლამ. უკვე მეოთხე ეტაპია, ორივე „მაკლარენი“ ფინიშამდე ვერ აღწევს.

შუმახერს კი ექვსიდან ხუთი „დიდი პრიზის“ მოგებით უკვე თამამად შეუძლია იფიქროს ჩემპიონობაზე. თუ ასე გაგრძელდა, ერთი-ორი რბოლის შემდეგ ასპარეზობა საბოლოოდ დაკარგავს ინტერესს.

გია ახალაძე

12 ივნისი. კანადის „გრან-პრი“. მონრეალი. ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომი. წრის სიგრძე 4430 მ. 69 წრე (305,67 კმ).
1. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“); 2. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი“) — ჩამორჩა 38 წამით; 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 52 წამით; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 1 წუთით და 16 წამით; 5. დენიელ კულტჰარდი (შოტლანდია, „უილიამსი“) — 1 წრით; 6. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, „ეროუზი“) — 1 წრით.

საერთო ჩათვლა: 1. შუმახერი — 56 ქულა, 2. ჰილი — 23, 3-4. ალეზი და ბერგერი — 13, 5. რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, „ჯორდანი“) — 7, 6-7. ნიკოლა ლარინი (იტალია, „ფერარი“) და მარტინ ბრანდლი (ბრიტანეთი, „მაკლარენი“) — 6, 8-12. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი“), კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ზაუბერი“), იუკიო კატიიამა (იაპონია, „ტირელი“), მარკ ბლანდელი (ბრიტანეთი, „ტირელი“) და ფიტიპალდი — 4.
კონსტრუქტორები: 1. ბენეტონი — 56, 2. ფერარი — 32, 3. უილიამსი 25, 4. ჯორდანი — 11, 5. მაკლარენი — 10.

კალათბურთი

NBA

წინა „სარბიელის“ გამოცემის შემდეგ იმდენი ხანი გამოხდა, რომ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის პლეი-ოფში ორივე ნახევარფინალური სერია დასრულდა და ფინალურის ნახევარიც გაიღია. დასავლეთი კონფერენციის ფინალში „ჰიუსტონმა“ 4:1 მოუგო „იუტას“ მას შემდეგ, რაც მეხუთე მატჩში 94:83 აჯობა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალმა ბოლო, მეშვიდე თამაშამდე მიატანა. „ინდიანამ“ მოიგო მეოთხე და მეხუთე მატჩები 83:77 და 93:86 და სერიაში 3:2 დაწინაურდა, მაგრამ „ნიქსმა“ მეექვსე შერკინების 98:91 მოგებით ანგარიში გაიყვანა. გადამწყვეტი თამაში კვირას, 5 ივნისს გაიმართა ნიუ-იორკში. მატჩის ბოლომდე 34 წამი რომ რჩებოდა, მასპინძლები 89:90 აგებდნენ, მაგრამ აქ ივაჟაკაც იუვინგმა, რომელმაც ამ დღეს 24 ქულა, 22 მოხსნა, 7 პასი და 5 დაფარება მითვალა. „ნიქსმა“ 94:90 მოიგო და მთავარ ფინალში გავიდა.

NBA-ს საჩემპიონო სერიალი ოთხშაბათს, 8 ივნისს დაიწყო ჰიუსტონში, სადაც მასპინძლებმა 85:78 გაიმარჯვეს. ოლაჯუონმა 28 ქულა მოაგროვა და ფარიდან 10-ჯერ მოხსნა ბურთი, მაგრამ პარასკევს, 10 ივნისს „ნიქსმა“ იქვე რევანში აიღო 91:83. ოლაჯუონმა ამ თამაშში 25 ქულა მოიმკო, ნიუ-იორკელმა სტარქსმა კი — 19. შესამე თამაშში ნიუ-იორკში, კვირას „ჰიუსტონმა“ 93:89 გაიმარჯვა და სერიაში 2:1 დაწინაურდა. მეოთხე თამაშიც მანდვე გაიმართება ოთხშაბათს.

●

კვირასვე სიდნეიში დასრულდა კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც არ მონაწილეობდნენ არც რუსეთი და არც მისი ყოფილი კოლონიები, მაგრამ თამაშობდა სლოვაკეთი. სულ შეჯიბრში, რომლის ჯგუფური ტურნირები აღელაიდაში და კუნძულ ტასმანიის ორ ქალაქში — ჰობართსა და ლონსტონში გაიმართა, 16 გუნდი ჩაება, მერე კი ორი მეოთხედფინალური ჯგუფი შედგა. ნახევარფინალებში შაბათს ჩინეთმა 66:65 მოუგო ავსტრალიას, ჟენ ხაიშამ კი მასპინძლებს 36 ქულა ჩაუგდო. მერე ბრაზილიამ პორტენზია მარჭარის წყალობით 110:107 აჯობა ჩემპიონ აშშ-ს. კვირას ავსტრალიას აღარც მესამე ადგილი დაანება აშშ-მა — 100:95 მოუგო, ფინალში კი ვეტერანმა პორტენზიამ გამოსათხოვარი 27 ქულა ჩაგდო და ჩინეთი 96:87 დაამარცხა. ბრაზილელი დედაკაცები პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, მეორე ოთხეული კი ასე დალაგდა: სლოვაკეთი, კუბა, კანადა, ესპანეთი.

ბოქსი

NHL

სტენლის თასის ფინალში საქმე ბოლო, მეშვიდე მატჩზეა მიმდგარი, რომელიც ნიუ-იორკში დღეს გაიმართება. „რეინჯერზმა“ „ვანკუვერთან“ პირველივე თამაში წაგო შინ 2:3, ოვერტაიმში, მერე კი ზედიზედ სამჯერ მოიგო 3:1 და სტუმრად 5:1, 4:2. მთავარი ამბები მეხუთე თამაშში, ნიუ-იორკში დატრიალდა. მესამე პერიოდის თორმეტ წუთში რვა გოლი გავიდა! „რეინჯერზმა“ ანგარიში 3:3 გახადა, მაგრამ მაინც დამარცხდა 3:6. „ვანკუვერმა“ მეექვსე თამაში შინ 4:1 მოიგო და სერიის ანგარიშიც გაათანაბრა 3:3. თასის პირადი ანგარიში ჯერ ბერემ 16 გოლამდე გაზარდა, მარკ მესიემ 11-მდე, „რეინჯერზის“ მცველმა ბრაიან ლიმმა კი 10 გოლი და 22 პასი მოაგროვა და ბომბარდირებში დაწინაურდა.

ხელბურთი

პორტუგალიაში, ვაჟ ხელბურთელთა ევროპის პირველი (!) პირველობის ფინალში, კვირას შვედეთმა 34:21 მოუგო რუსეთს.

ჟელორბოლა

კვირასვე დასრულდა სამკვირიანი „ჯიროო დ-იტალია“. 1900-კილომეტრიანი ტური პირველად მოიგო რუსმა — 24 წლის ელიმრბოლმა ევგენი ბერზინმა, რომელმაც ბოლო 19 ეტაპის განმავლობაში შეინარჩუნა ლიდერის ვარდისფერი კვართი. ბერზინმა სულ სამი ეტაპი მოიგო. იტალიელი პონტონი გამარჯვებულს 2 წუთითა და 51 წამით ჩამორჩა, გბუქულგანდიდებული ინფურაინი კი — კიდევ 32 წამით.

აქეთური, იქითური

ნელსონ მანდელამ ოაგზე უწინარეს კრიკეტისათვის მოაცილებინა სპორტის ახალი ბელადის ხელი „ბენეტონ“ — ერთ-ერთ სამხრეთაფრიკული კრიკეტის „ბომბარდირად“ ანი ბერეზ ანაცვალა, რომელ სამხრეთაფრიკას „ბოკენის“ (ჭურიკების) ნაცვლად ამიერიდან დაერქმევა „პროოთეას“ (ერთგვარი ყვავილის), ამა წლის დეკემბერში კი ქვეყანა უმასპინძლებს თითოდღიანი კრიკეტის ნელსონ მანდელას თასის გათამაშებას, რომელშიც სამხრეთი აფრიკა, პაკისტანი, შრილანკა და ახალი ზელანდია ისპარეზებენ. რაც შეეხება ვესტინდოელ ტაფელოსან ბრაიან ლარას, ტესტ-კრიკეტში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ მან ახალ სიმაღლეებსაც შეჰბედა ინგლისში, სადაც ოქტომბრამდე ვორიჭშირის საგრაფოს გუნდში ითამაშებს. ლარამ 6 ივნისს ე.წ. პირველი კლასის კრიკეტში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა, როცა დარემის საგრაფოს წინააღმდეგ თამაშისას ერთ შესვლაში 501 გარბენი გაუვარდნელად მოითვალა, რითაც გაუმჯობესა ყარაჩელი ჰანიფ მუჰამედის 1959 წლისეული რეკორდი, რომელიც 499 გარბენს უდრიდა. რეკორდის დეენმა ვორიჭშირს მოგება დააკარგვინა, რაკილა თავად 810 გარბენზე კი მოაგროვა, მაგრამ მეტოქის ათი ტაფელოსნის გაგდება ალარ დასცალდა.

*

1 ივნისს ბრისბენის „ანზაკის“ სტადიონზე 54 ათასი დამსწრის თვალწინ ინგლისის „ვიგანმა“ ლიგის რაგბის მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის თამაში 20 (12) (ჰალ, 4ბ) : 14 (4) მოუგო იქაურ „პრონკოუზს“, რომელიც წელს საშინაო „ვინფილდის თასზე“ ერთობ წარუმატებლად თამაშობს. მერე გამოცხადდა, რომ საგაისო სეზონის ბოლოს ახალზელანდიელი ფრანო ბოტიკა „ვიგანიდან“ გადავა ახალი ზელანდიის „ოკლენდ ვორიორზში“, რომელიც ამავე თასზე ასპარეზებს. 2 ივნისს კი გაიმართა ლიგის რაგბის საგაისო, საიუბილეო მსოფლიო თასის წილისყრა. ათი მონაწილე დაკვეს სამ (?) ქვეჯგუფად. ერთში ითამაშებენ ავსტრალია (ჩემპიონი), ინგლისი, ფიჯი და სამხრეთი აფრიკა, მეორეში — ახალი ზელანდია, პაპუასეთი და ტონგა, მესამეში კი — უელსი, საფრანგეთი და სამოა. ოთხგუნდიანი ჯგუფიდან ნახევარფინალში ორი გუნდი გავა, სამგუნდიანებიდან — თითო, შეჯიბრება კი ინგლის — ავსტრალიის მატჩით „უემბლიზე“ გაიხსნება.

*

4 ივნისს დასრულდა „ვითბრედის“ გარსაქეფენო საფრესნო რბოლა. ბოლო, მეექვსე ეტაპი, ფორტ-ლოდერდეილიდან საუთჰემპტონამდე, მოიგო „ტოკიომ“, რომელმაც ოთხი დღე-ღამით გაუმჯობესა „სტეინლაგერის“ 1989 წლისეული მიღწევა, რისთვისაც „ჰაინეკენის“ საგანგებო ჯილდოც დაიმსახურა. „ტოკიოს“ 51 წუთით ჩამორჩა „ვინსტონი“, ამას კი 30 წუთით — „იამაჰა“. სულ რბოლამ 121 დღე გასტანა. ჯამური ბირველობა მაქსი-ნიტა „ნიუ ზილენდ ენდეევორს“ ერგო. ლიდერებს 6 დღით ჩამორჩა „ჰაინეკენი“, რომლის ეკიპაჟიც ერთიანად დიაკებისგან შედგებოდა. „ვითბრედი“, „სტეინლაგერი“ და „ჰაინეკენი“ ლუდის მარკებია, უველახსენებული ნავის კაპიტნები კი ზელანდიელები არიან.

*

მონტე-კარლოში მძიმედ დაშავებული ფორმულა-1-ის მრბოლი კარლ ვენდლინგერი იმდენად მოკეთებულა, რომ შინ — ინსბრუკში გადაუყვანიათ, სადაც იქაური უნივერსიტეტის კლინიკაში საბოლოოდ და სრულად განკურნავენ. „უილიამსს“ მოლაპარაკება გაუმართავს ნაჯელ მენსელთან, რათა ეს „ფორმულას“ დაუბრუნდეს აშშ-დან, სადაც „ინდიკარში“ ასპარეზობს, შარშან ჩემპიონიც გახდა და ბოლო დრომდეც ერთობ კმაყოფილი ყოფილა, მაგრამ ინდიანაპოლისში გადატანილი ავარიის შემდეგ „ნიუმენ-ჰასის“ მიტოვებას აპირებს. სენას დალუპვის შემდეგ „ფორმულა-1“ სპონსორებს კარგავს, რაკილა ახალ ლიდერებს — შუმახერსა და ჰილს ხიბლი ჭკლებიათ. ერთობ პოპულარული მენსელის გადმობირების მცდელობის მიზეზთა მიზეზიც ესა ყოფილა.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)